როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბამმ-ი შემაკავებელი ნეირომედიატორია, მაგრამ განვითარების ადრეულ სტადიებზე ის ამაგზნებლად მოქმედებს უძვინფარ ნეირონებზე. ბამმ-ის ასეთი შეცვლილი მოქმედება განპირობებულია ქლორის იონების მაღალი კონცენტრაციით [3]. ის, თავის მხრივ, განპირობებულია სპეციფიკური ქლორის – სატრანსპორტო ცილების სპეციფიკური აქტიურობით მოუძვინფებელ ასაკში: NKCC1, KCC2. NKCC1-ს აქტიურობა იზრდება მოუძვინფებელ ნეირონებში და ის განპირობებს ქლორის კონცენტრაციის მომატებას უჯრედში, შესაბამისად, ბამმ-ის კონცენტრაციის მომატებასაც. მეორე ტრანსპორტერი – KCC2 საპირისპიროდ მოქმედებს – მას უჯრედებიდან გამოჰყავს ქლორის იონები, მისი აქტიურობა დაბალია მოუძვინფებელ უჯრედებში. ასაკთან ერთად NKCC1-ს აქტიურობა მცირდება, ხოლო KCC2-ს აქტიურობა იზრდება, შესაბამისად, თავის ტვინის ნეირონებში მცირდება ქლორის კონცენტრაცია და ბამმ-ის მოქმედება შემაკავებლად იცვლება.

ბამმ-ის რეცეპტორების გააქტივება ასევე ზრდის უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაციას (ის იწვევს კალციუმის იონური არხების გახსნას) [2]. ბამმ-ის ამაგზნებელი მოქმედება იწვევს ახალშობილთა ჰიპოკამპის გააქტიურებას [1] და ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ტროფიკულ ფაქტორს ნერვული სისტემის განვითარების პროცესში, ხელს უწყობს სინაფსების პროლიფერაციას და დიფერენცირებას.

ბამმ-ის მოქმედების ცვლილება შესწავლილ იქნა მშობიარობის პერიოდში ვირთავეების პირამიდულ ნეირონებზე. ფეტალურ და პოსტნატალურ პერიოდში ბამმ-ის რეცეპტორების გააქტივება იწვევდა პირამიდული უჯრედების უმრავლესობის გააქტიურებას. მაგრამ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს მშობიარობას, უჯრედების რაოდენობა, რომელიც აიგზნება ბამმ-ის მოქმედებით, მკვეთრად მცირდება. ელექტროფიზიოლოგიური მეთოდებით დადგენილ იქნა, რომ მშობიარობის დროს ასევე მცირდება ბამმ-ის უნარი გაზარდოს უჯრედშიდა კალციუმის რაოდენობა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ბამმ-ის მოქმედების ასეთი ცვლილება მშობიარობის დროს დაკავშირებულია ჰორმონალურ ცვლილებებთან, განსაზღვრული ჰორმონების მოქმედებასთან, რომლებიც, თავის მხრივ, გამოიყოფა მშობიარობის დროს. მშობიარობის დროს ხდება ოქსიტოცინის დიდი რაოდენობით სეკრეცია, რაც, როგორც ცნობილია, ასტიმულირებს საშვილოსნოს შეკუმშვას. მაგრამ, ასევე დადგენილია, რომ ოქსიტოცინი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეც. დადგენილი იყო აგრეთვე ისიც, რომ ამ ჰორმონის მომატებული სეკრეცია მშობიარობის პროცესში დაკავშირებულია აგზნებადობის პერინატალურ ცვლილებებთან, კერძოდ, ეგზოგენური შეყვანა იწვევდა ბამმ-ის ამაგზნებელი და მადეპოლა-

რიზებელი მოქმედების დათრგუნვას მოუწიფებელ ნეირონებში, ხოლო ოქსიტოცინის ბლოკატორების გამოყენება ამცირებდა ამგვარ ეფექტს. ამავდროულად, დადგინდა, რომ ოქსიტოცინი მკვეთრად აქვეითებს ქლორის უჯრედშიდა კონცენტრაციას. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ ოქსიტოცინი აუცილებელია ბამმ-ის ამაგზნებელი მოქმედების გადასართავად შემაკავებელ მოქმედებაზე.

ამრიგად, ოქსიტოცინი თავის სხვა ცნობილ ეფექტებთან ერთად მოქმედებს ნაყოფის ნეირონებზეც და მონაწილეობს ნაყოფის თავის ტვინის ადაპტაციაში მშობიარობის პროცესის დროს. ოქსიტოცინი იწვევს ბამმ-ის ამაგზნებელი მოქმედების გადართვას შემაკავებელ მოქმედებაზე, რადგან ის განაპირობებს ქლორის იონების უჯრედშიდა კონცენტრაციის გაზრდას. ამ მოვლენის სავარაუდო მექანიზმს წარმოადგენს – ქლორის ტრანსპორტორის – NKCC1 აქტიურობის დაქვეითება მისი დეფოსფორილირების შედეგად. ბამმ-ის მოქმედების ცვლილება ნოციციკტურ ნეირონებზე ოქსიტოცინის გავლენით აქვეითებს ნაყოფის ტკივილის მგრძობელობას მშობიარობის დროს. სავარაუდოდ, არსებობს ნაყოფზე ოქსიტოცინის სხვა ადაპტაციური მოქმედებაც მშობიარობის პროცესში. ასევე ოქსიტოცინი არ წარმოადგენს ნაყოფის თავის ტვინის ფიზიოლოგიური ადაპტაციის ერთადერთ ფაქტორს.

## ლიტერატურა

1. Ben-Ari Y., Cherubini E., Corradetti R., Ganarsa J.L. J. Physiol. (Lond.), 1989, 416, 303-325.
2. Ben-Ari Y., Khazipov R., Leinekugel X., Caillard O. et al. Trends Neurosci., 1997, 20, 523-529.
3. Ben Ari Y., Gaiarsa J.L. Physiol. Rev., 2007, 87, 1215-1284.

## РОЛЬ ОКСИТОЦИНА ВО ВРЕМЯ РОДОВ

**Т. Валишвили**

Государственный университет им. Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

В статье приведены результаты недавних исследований, указывающих на роль окситоцина – гормона, который не только вовлечен в процесс адаптации мозга на стадии зародыша, но и воздействует на центральную нервную систему. Была показана его роль в регулировании синаптической передачи гамма-аминомасляной кислотой. Описаны нейрорепроторные эффекты окситоцина в экспериментальных условиях ишемии и гипоксии мозга, а также его значение в предотвращении болезненных эффектов, которые плод испытывает во время родов. Исходя из вышесказанного можно сделать вывод, что окситоцин – важный эндогенный фактор в адаптации плода во время родов.



## THE ROLE OF OXYTOCIN DURING THE LABOR

*T. Valishvili*

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### SUMMARY

The results of some recent studies indicating the role of oxytocin – a hormone that is not only involved in the process of adaptation of the brain at the stage of the embryo, but also affects the central nervous system are described. Its role in the regulation of the GABAergic synaptic transmission, the neuroprotective effects of oxytocin in experimental conditions of hypoxia-ischemia of the brain, as well as its significance in prevention of painful effects that the fetus experiences during labor are also shown. The conclusion is made that oxytocin is an important endogenous factor in the adaptation of the fetus during childbirth.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2014, ტ.40, № 5-6  
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2014, т. 40, № 5-6  
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2014, vol. 40, No 5-6

## **ტვინის ღეროს სმენითი გამოწვეული პოტენციალების გამოკვლევა თავის ტვინის შერყვის და ზოგიერთი ანთებითი პროცესის ნარჩენი მოვლენების პერიოდში**

*გ. კვერნაძე, გ. ანდრონიკაშვილი, ს. ქიბაშვილი, თ. გურაშვილი,  
ქ. გოგუშვილი, ნ. ახობაძე*

სსიპ ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი,  
თბილისი, საქართველო

თავის ტვინის სხვადასხვა ხარისხის შერყევის და ზოგიერთი ანთებითი დაავადებების ნარჩენი მოვლენების პერიოდში სხვადასხვა ასაკის და სქესის პაციენტებზე ტვინის ღეროს სმენითი გამოწვეული პოტენციალების (ტლსბპ) გამოკვლევამ ტვინის ღეროს უხეში ფუნქციური დარღვევები გამოავლინა.

თავის ტვინის მსუბუქი შერყევის ნარჩენი მოვლენების პერიოდში ტლსბპ პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ნორმისგან. თავის ტვინის საშუალო და განსაკუთრებით ძლიერი შერყევის შემდგომ პერიოდში ტლსბპ არსებითი ცვლილებებით გამოირჩეოდა. ეს გამოიხატებოდა ტლსბპ-ის ცალკეული კომპონენტის ამპლიტუდის შემცირებით ან მისი სრული გაქრობით, მათი აბსოლუტური ლატენცური პერიოდების მომატებით, პიკთაშორის ლატენცური პერიოდების გაზრდით, რაც იპსი- და კონტრალატერალურ მხარეთა ტლსბპ-ის ლატენცური ასიმეტრიის ფონზე წარიმართებოდა. ზოგჯერ შეუძლებელი იყო ტლსბპ-ის ცალკეული კომპონენტის იდენტიფიცირება.

ტლსბპ-ის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლინდა თავის ტვინის ზოგიერთი ანთებითი დაავადების ნარჩენი მოვლენების პერიოდში, როდესაც ტლსბპ-ის გამოკვლევებმა მკაფიოდ უჩვენა სმენის ფუნქციის სერიოზული დარღვევების ხასიათი და თავისებურება.

თავის ტვინის შერყევის ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული იყო სმენის ფუნქცია, III-V და I-III პიკთაშორის ინტერვალების სხვაობა დადებითი ნიშნით გამოიხატებოდა, რაც რეტროკოხლეარული პათოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

თავის ტვინის შერყევის და თავის ტვინის ზოგიერთი ანთებითი დაავადებების ნარჩენი მოვლენების პერიოდში გამოვლენილი ტლსბპ-ის უხეში ცვლილებები, როგორც ჩანს, სწორედ ღეროს სტრუქტურების დაზიანებით და სერიოზული ფუნქციური დარღვევითაა გამოწვეული, რომლის ადეკვატურ მაჩვენებელს ტლსბპ-ის არაინვაზიური კვლევის მეთოდი წარმოადგენს.

ტლსბპ-ის დამახასიათებელი ცვლილებების განხილვა და მათი კლინიკურ მონაცემებთან შეჯერება, რაც შემთხვევაში საშუალებას იძლევა მივიღოთ


სასარგებლო ლოკალურ-დიაგნოსტიკური ინფორმაცია, კერძოდ, ტვინის ღეროს სტრუქტურების, უპირატესად, სმენის გამტარი გზების დაზიანების და ფუნქციური მდგომარეობის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ტვინის ღერო, გამოწვეული პოტენციალები, ტვინის შერყევა, ნარჩენი მოვლენები, სმენის დარღვევა, ღეროს დისფუნქცია

თანამედროვე დიაგნოსტიკური ნეიროფიზიოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ თავის ტვინის ქერქული, ქერქვეშა და ღეროს სტრუქტურების ფუნქციური მდგომარეობის შესახებ ნორმის და პათოლოგიის დროს, თავის ტვინის გამოწვეული პოტენციალების შესწავლა წარმოადგენს. განსაკუთრებით ღირებული ინფორმაციის მომცემია ტვინის ღეროს სმენითი გამოწვეული პოტენციალების (ტლსბპ) შესწავლა ყურის აკუსტიკური გაღიზიანების პირობებში. ამის კარგ საშუალებას სმენის ანალიზატორის ცალკეული ნეირონული სტრუქტურის თითქმის მიუღწეველ თავის ტვინის აღმავალ დონეზე განლაგება იძლევა. გამოხატული პოტენციალების სპეციფიკური ცვლილებების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ტვინის ღეროს მთლიანობის, სმენითი იმპულსაციის გადაცემის სისწრაფის, სმენითი იმპულსაციის გამტარი გზების და სმენის ანალიზატორის ქერქული დაბოლოების ფუნქციური მდგომარეობის შესახებ.

მრავალრიცხოვანი კლინიკური და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა შეხედულება ტლსბპ-ის ცალკეული კომპონენტის სმენის სისტემის გარკვეულ სტრუქტურებთან მკაფიოდ მიბმულობის თაობაზე. ამის თანახმად, I პიკი წარმოადგენს სმენის ნერვის გამოწვეულ პოტენციალს (ბპ), II პიკი – კოხლეარული ბირთვების ბპ-ს, III პიკი – ზემო ოლივარული კომპლექსის ბირთვების ბპ-ს, IV პიკი – ლატერალური მარყუჟის ბირთვების ბპ-ს და V პიკი – ოთხგორაკის უკანა ბორცვების ბპ-ს. VI და VII პიკები შეესაბამება თალამუსის შიგნითა დამუხლული სხეულის და სმენის ანალიზატორის ქერქული დაბოლოების ბპ-ს [10, 11, 12, 18, 19]. სურათზე I ნაჩვენებია ჯანმრთელი ადამიანის ტლსბპ-ის ნორმალური ჩანაწერი, მიღებული ბინაურული აკუსტიკური სტიმულაციის პირობებში. ზედა მრუდი წარმოადგენს მარცხენა, ქვედა – მარჯვენა მხარის ტლსბპ-ს. ჩანაწერზე სიმეტრიულად გამოისახება ტლსბპ-ის სწორი ფორმის და ნორმალური ამპლიტუდის მქონე ყველა ძირითადი კომპონენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ არ არსებობს მყარი საფუძველი ტლსბპ-ის გენერაცია დაკავშირებული იყოს ღეროს რომელიმე კონკრეტულ გენერატორთან, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ I ტალღის წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებულია VIII ნერვის ელექტრულ აქტიურობასთან, მომდევნო ტალღების წარმოშობა კი – ღეროს სტრუქტურების ელექტრულ მოქმედებასთან. ამასთან, რაც უფრო მეტად მართულობს ტლსბპ-ის რიგითი ნომერი, მით უფრო მეტად მონაწილეობს როსტრალურად მდებარე ღეროს სტრუქტურები მათ გენერაციაში [7, 11, 14].



სურათი 1. ტვინის დეროს მოკლელატენტური სმენითი გამოწვეული პოტენციალების გამოხატულება ნორმაში. I პიკი - ლოკოკინას, სმენის ნერვის გამოწვეული პოტენციალი (ბპ); II პიკი - კოხლეალური ბირთვის ბპ; III - ზემო ოლივას ბირთვის ბპ; IV - ლატერალური მარეუვის (ლემნისკის) ბპ; V - ოთხკორაკის უკანა ბორცვის ბპ; VI - შიგნითა დამუხლული სხეულის ბპ; VII - თვალმოკორტიკალური პროექციის ბპ. სტიმულაცია ბინაურული 85 დბ. კალიბრება - აქ და ყველა სხვა სურათზე - 0.5 მკვ, 1 მსეკ

როგორც ჩანს, ტლსბპ-ის ცალკეული ტაღლა გამოხატავს ტვინის დეროს სხვადასხვა გენერატორების ან უმეტეს შემთხვევაში ერთი გენერატორის მოქმედებას. უნდა აღინიშნოს, რომ ტლსბპ-ის თითოეული ტაღლის ლატენტური პერიოდი შედგენილია მიეღინიშებულ ნერვულ ბოჭკოებში იმპულსის გატარების დროის ხანგრძლივობით და დროის იმ მონაკვეთით, რომელიც აუცილებელია გარკვეული პოპულაციის ნეირონების აქტივაციისთვის საკმარისი ზღურბლის მისაღწევად. ამასთან, ცალკეული ტაღლის ამპლიტუდა პოპულაციის გააქტიურებული ნეირონების რაოდენობის ფუნქციას წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი [7] ვარაუდობს, რომ ტლსბპ-ის ამპლიტუდა და ლატენტური პერიოდი სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესების გამომხატველია და მათი ცვლილებები დამოუკიდებლად ან პარალელურად მიმდინარეობს.

ტლსბპ-ის ლატენტურ პერიოდებზე, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს სმენის სისტემის რეცეპტორული აპარატის აგებულების ინდივიდუალური თავისებურებები, აგრეთვე აპარატის მექანიკური ნაწილი, სმენის ნერვის სიგრძე, სქესი, ასაკი და სხვ.

გამომდინარე აქედან, გამოკვლევებში დიაგნოსტიკის მიზნით ძირითადად გამოიყენება ტლსბპ-ის პიკთაშორის ინტერვალები, ვინაიდან ეს პარამეტრი აბსოლუტურ ლატენტურ პერიოდთან შედარებით გაცილებით ნაკლები ვარიაბელობით გამოირჩევა.

სხვა ავტორები [11, 13] აღნიშნავენ, რომ იფსილატერალურ და კონტრალატერალურ გამტარ გზებში ნერვული იმპულსის გადაცემის ხანგრძლივობა ერთი და იგივეა იმის მიუხედავად, რომ იფსილატერალური

გზა ერთი სინაფსით უფრო მეტს შეიცავს კონტრალატერალურ ურთიერთობებში. ზოგი ავტორი [3] თვლის, რომ კონტრალატერალურ გზაში იმპულსმა უფრო გრძელი გზა უნდა გაიაროს, რის გამოც კომპენსირდება იფსილატერალურ გზაში სინაფსურ შეკავებაზე დახარჯული დრო. ეს ფაქტი დიდ როლს ასრულებს ტლსბპ-ის დარღვევების ინტერპრეტაციაში.

ტლსბპ-ის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ეთმობა პიკების ამპლიტუდურ მანევრებლებს, ლატენტურ პერიოდებს, პიკთაშორის ინტერვალებს, კომპონენტების კონფიგურაციას და იფსი- და კონტრალატერალური ტლსბპ-ის ლატენტურ სიმეტრიულობას. დიაგნოსტიკის მიზნით უპირატესად გამოიყენება ყველაზე მაღალი ამპლიტუდის პიკები – I, III და V. VI და VII კომპონენტები თითქმის არ განიხილება მათი დიდი ვარიაბელობის გამო.

ყველაზე უფრო მდგრად კომპონენტად ითვლება V პიკი, რომელზეც უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მთელი დიაგნოსტიკა სმენის ფუნქციის გამოკვლევის დროს. ტლსბპ-ის გამოკვლევისას პათოლოგიად ითვლება პასუხების არარსებობა 60 დბ ძალის აკუსტიკური გაღიზიანების პირობებში, V კომპონენტის ლატენტური პერიოდის მომატება, რომელიც აღემატება მოცემული ასაკის ნორმის მანევრებელს, V პიკის არარსებობა, პიკთაშორის ინტერვალთა მომატება, მათ შორის I – III, I-V და III-V ინტერვალებში.

ტლსბპ-ის მეთოდი პრაქტიკულად მისი კლინიკაში გამოყენების დასაწყისშივე მიმართული იყო კომაში მყოფი ავადმყოფების გამოსაკვლევად, ვინაიდან ღეროს სტრუქტურების ფუნქციის შეფასება ასეთ დროს განსაკუთრებულად საინტერესოა. ცნობილია, რომ ტვინის ღეროს ორგანული დაზიანების დროს ვითარდება ქალა-ტვინის მიმე ტრავმა, რაც გამოწვეულია ტვინის ამ უბანში სიცოცხლისთვის უმნიშვნელოვანესი – სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი ცენტრების, აგრეთვე მნიშვნელოვანი გამტარი გზების ალტერაციული ცვლილებებით. ასეთი დაზიანებები იშვიათადაა სიცოცხლესთან შეთავსებადი და უხეშ ნევროლოგიურ სიმპტომატიკას იწვევს. ტვინის ღეროზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებისას მისი ორგანული დაზიანების გარეშე აგრეთვე ვითარდება ძლიერი ტრავმა, რომლის სიმძიმე პირდაპირ კავშირშია ღეროს დაზიანებების ხარისხთან. დარღვევები მოიცავს მთელ თავის ტვინს, რაც უმეტეს შემთხვევაში, ზემოქმედებს უფრო სპეციალიზებულ ელემენტებზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ტლსბპ-ის ცვლილებები პირდაპირ გამოხატავს ღეროს გამტარი გზების ფუნქციის დარღვევას.

თავის ტვინის ტრავმის პათოგენეზში გარკვეული მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა, გამააქტივებელ რეტიკულურ ფორმაციას ენიჭება. ზოგიერთი ავტორის [6] მონაცემებით, რეტიკულური ფორმაცია ზიანდება ქალა-ტვინის ნებისმიერი ტრავმის დროს. მისი დაზიანება გამოირჩევა სხვადასხვა სიმძიმის ხარისხით, რაც ბევრად განაპირობებს კლინიკური პროცესის მიმდინარეობას.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ფორმის პათოლოგიის დროს, რომელიც ღეროს უშუალო, პირველად ორგანულ დაზიანებას იწვევს, ხშირ

შემთხვევაში ტლსბპ გამოირჩევიან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარღვევებით. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში ტლსბპ-ის კომპონენტთა უმეტესი ნაწილი ქრება ან ძნელია მათი იდენტიფიცირება. ხშირად თვისებრივად იცვლებს ტალღების კონფიგურაცია.

ზოგი ავტორი [20] თვლის, რომ ტლსბპ-ის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა ადრეული დიაგნოსტიკისთვის – კლინიკური სურათის ჩამოყალიბებამდე. ავტორები აღნიშნავენ, რომ იმ მრავალრიცხოვანი ფაქტორებიდან, რომელიც განაპირობებს ქალა-ტვინის ტრავმის შემდგომ ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, დეროს დაზიანება უპირველეს პროგნოზულ ფაქტორად უნდა განიხილებოდეს. ავტორთა სხვა ჯგუფი [16, 17] ვარაუდობს, რომ ტლსბპ-ის გამოკვლევა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ტვინის დეროს უპირატესი დაზიანების დონე. კერძოდ, ნათხემ-ხიდის კუთხე, რომლის დაზიანებისას აღინიშნება II პიკის ცვლილება; ვაროლის ხიდის დაზიანების დროს III და IV კომპონენტების ცვლილებები; შუა ტვინის კაუდალური ნაწილის დაზიანებისას აღინიშნება V პიკის ცვლილებები. ავტორები აღნიშნავენ, რომ ტლსბპ უმნიშვნელო ცვლილებას განიცდის სამკურნალო პრეპარატების ზეგავლენით, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება თავის ქალას ტრავმის დროს.

ჩვეულებრივ, ქალა-ტვინის ტრავმის, სიმსივნური პროცესების და სხვა სახის პათოლოგიების დროს ზიანდება სმენის ანალიზატორის სხვადასხვა წარმონაქმნები. მათ, უპირველეს ყოვლისა, კოხლეარული ბირთვები, ტრაპეციოიდული სხეული, ოლივები და ოთხგორაკის უკანა ბორცვები წარმოადგენს. ვინაიდან ეს სტრუქტურები ტვინის დეროს სხვადასხვა ადამაკალ დონეზე მდებარეობს, მათი დაზიანება შესაძლოა ტვინის ამ უბანში განვითარებული პათოლოგიური პროცესის სიმძიმეზე მეტყველებდეს.

ტლსბპ-ის გამოკვლევები ქალა-ტვინის დაზიანებების შემთხვევაში არცთუ მრავალრიცხოვანია. მიუხედავად ამისა ცნობილია, რომ ქალა-ტვინის ტრავმას საკმაოდ ხშირად თან ახლავს სმენის ფუნქციის დარღვევა. სმენის დაკარგვის ან მისი გაუარესების ხარისხი დამოკიდებულია მიღებული ტრავმის სიმძიმესა და დაზიანების ლოკალიზაციაზე. ასეთ დროს სმენის პერიფერიული ორგანოს დაზიანების გარდა დარღვეულია აგრეთვე სმენის ანალიზატორის ცენტრალური გამტარი გზების ფუნქციაც, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს ნერვული ბირთვების ან სმენითი იმპულსაციის გამტარი გზების სისხლის მომარაგების მოშლა, მათი დაზიანება წერტილოვანი სისხლჩაქცევებით ან ჰემატომის გაჩენის შედეგად ამ სტრუქტურების კომპრესია და ა.შ.

ვინაიდან ტლსბპ გამოხატავს სმენითი იმპულსაციის გადაცემაში მონაწილე დეროს სტრუქტურების ელექტრულ აქტიურობას, მოსალოდნელია, რომ პერიფერიულმა და დეროვანი წარმოშობის სმენის დარღვევებმა გავლენა იქონიოს ტლსბპ-ის პარამეტრების მრავალნაირ ცვლილებაზე.

ქალა-ტვინის ტრავმის შედეგად სინაფსური შეკავების გახანგრძლივების გამო შესაძლებელია პოლისინაფსური გზით ნერვული იმპულსის გატარების შეფერხება. ასეთ დროს ხდება პოლისინაფსური გზით მოსული

პასუხების ინტეგრაცია შედარებით უფრო ადრე მონოსინაფსური გზით მოსულ პასუხებთან.

ნაკლებად მიძიმე პათოლოგიის დროს მონოსინაფსურ და პოლისინაფსურ გამტარ გზებში ნერვული იმპულსი უფრო ნელა გადაეცემა, რის გამოც ხანგრძლივდება თანმიმდევრული პიკების გენერაციისთვის საჭირო დროის პერიოდი, თუმცა იმპულსაცია ჯერ მაინც სინქრონულად მიმდინარეობს. პათოლოგიური პროცესის გაცილებით უფრო ძლიერი ზემოქმედების შედეგად სინაფსური შეკავება პოლისინაფსურ გზაში უფრო მეტად ხანგრძლივდება. ამის შედეგად, იმპულსის გადაცემა მონოსინაფსური გზით წინ უსწრებს პოლისინაფსური გზით მის გადაცემას. ამგვარი ასინქრონული მოქმედების შედეგად თითოეული გენერატორი წარმოქმნის რამდენიმე ტალღას ერთის ნაცვლად, რაც განაპირობებს ტალღების სუპერპოზიციას (ზედდებას). საბოლოოდ კარდინალურად იცვლება ტლსბპ-ის ნორმალური სურათი [7].

სმენის ფუნქციური დარღვევების დიაგნოსტიკის მიზნით სადღეისოდ მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულების, ტლსბპის კვლევის არაინვაზიური მეთოდი გამოიყენება. ამ მიზნით ტლსბპ-ის გამოკვლევები სმენის მგრძობელობის შემოწმების მიზნით ხშირად ტარდება ახალშობილებსა და სმენის პათოლოგიის მქონე მცირე ასაკის ბავშვებზე, ბრმა-ყრუებზე, გონებრივად ჩამორჩენილ, ემოციურად გაუწონასწორებელ, ჰიპერაქტიურ, აუტიზმით დაავადებულ, ფსიქიკური სიყრუით და ნევროლოგიური დეფექტების მქონე ადამიანებზე.

ტლსბპ-ის საშუალებით სმენის ფუნქციის შემოწმების მეთოდიკა ძირითადად პასუხების აღმოჩენებისთვის აუცილებელი ბგერითი გაღიზიანების განსაზღვრას ემყარება, რომელიც სტიმულაციის იმ ძალას შეესაბამება, როდესაც პირველად გამოისახება გარჩევადი V პიკი. სიყრუე ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია V პიკის წარმოქმნისთვის გაღიზიანების ინტენსივობის გაზრდა (გაზრდილია ზღურბლი).

პრაქტიკული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ტლსბპ-თვის საერთოდ დამახასიათებელია დროითი პარამეტრების და კონფიგურაციის ინტერინდივიდუალური სტაბილურობა [5]. ეს ფაქტი მნიშვნელოვანად აადვილებს მიღებული მონაცემების სწორ ინტერპრეტაციას. როდესაც აუცილებელია დაზუსტდეს ინტრაკოხლვარული (სმენის ნერვის ნერვითი, მენიერის დაავადება) და სმენის სისტემის რეტროკოხლვარული (სიმსივნეები, სისხლჩაქცევები, ღეროს დემიელინიზაციური პროცესები) დაზიანებების შემთხვევები, როგორც წესი, გამოითვლება ტლსბპ-ის ყველა ძირითადი პარამეტრი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტლსბპ-ის დროითი პარამეტრები აღემატება ნორმის ზედა ზღვარს პაციენტის ნორმალური სმენის და ნორმალური ნევროლოგიური სტატუსის პირობებში, ეს რეტროკოხლვარული დარღვევის ნიშანია, ხოლო ტლსბპ-ის ნორმალური პარამეტრების, მაგრამ სმენის ზღურბლის მომატების შემთხვევაში – ინტრაკოხლვარული დარღვევის ნიშანი [9, 16 და სხვ.].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში III-V და I-III პიკთაშორის ინტერვალთა სხვაობა, როგორც წესი, უარყოფითი ნიშნით გამოიხატება

(ანუ  $III-V < I-III$ ). ამ მანვენების დადებითი სხვაობა (ანუ  $III-V > I-III$ ) რეტროკოხლვარული პათოლოგიის დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევა [8].

## მასალა და მეთოდები

ტლზბპ-ის გამოკვლევები ორივე სქესის მცირე და მოზრდილი ასაკის პაციენტებზეა ჩატარებული.

გამოსაკვლევეთა ძირითად კონტინგენტს თავის ტვინის სხვადასხვა ხარისხის შერყევის ნარჩენი მოვლენების პერიოდში განვითარებული დის-ადაპტაციური სინდრომით დაავადებული პაციენტები და, აგრეთვე, ის პაციენტები შეადგენდნენ, რომელთაც თავის ტვინის სხვადასხვა ინფექციური (ანთებითი) დაავადების შემდეგ სმენის ფუნქციის სერიოზული დარღვევები განუვითარდა.

ტლზბპ-ის რეგისტრაციას იაპონური ფირმის Nihon Kohden-ის ორარხიანი მრავალპროფილიანი სარეგისტრაციო სისტემის მეშვეობით ვახორციელებდით. გამოკვლევის დროს პაციენტი სპეციალურ სავარძელში იჯდა მოსვენებულ მდგომარეობაში. პაციენტს თითოეულ ყურზე ყურსასმენის საშუალებით ფართო აკუსტიკური სპექტრის ბგერითი ტკაცუნი მიეწოდებოდა. ბგერითი სტიმულაციის ინტენსივობა სმენის ნორმალური ზღურბლის მიმართ 60-100 დბ შეადგენდა. გაღიზიანების სიხშირე 10 იმპ/წმ იყო. პაბიტუაციის განვითარების გამოსარიცხად სტიმულაცია უპირატესად რანდომიზებულად ტარდებოდა. ტლზბპ-ის გაძლიერება პროგრამულად 100-3000 ჰერცის დიაპაზონში ხდებოდა. ტლზბპ-ის რეგისტრაციის პროცესში მიღებული პასუხების გასაშუალება ავტომატურ რეჟიმში წარმოებდა.

ერთი გასაშუალებული ტლზბპ-ის მისაღებად ხმოვანი სტიმულაცია პროგრამულად 2048-ჯერ მიეწოდებოდა. აუცილებლობის შემთხვევაში სტიმულაცია შეორდებოდა, რაც უფრო მეტად სარწმუნოს ხდიდა მიღებულ მონაცემებს. ტლზბპ-ის გამოსაყვანად ვიყენებდით ვერცხლის ფიალისებურ ელექტროდებს. აქტიურ ელექტროდს სპეციალური ევგ-პასტის დახმარებით პაციენტის სკალპზე – Vertex-ის მიდამოში ვაფიქსირებდით. რეფერენტულ ელექტროდს იფსილატერალური ყურის მასტოიდზე, ხოლო მესამე, დამწივების ელექტროდს, შუბლის შუა სიმეტრიულ უბანზე ვამაგრებდით.

გამოკვლევის მიზნიდან გამომდინარე, ყურის აკუსტიკური სტიმულაცია მონაურალურად ან ბინაურალურად ტარდებოდა. მონაურალური გაღიზიანების დროს მეორე ყურზე შენიღბვის მიზნით ისეთივე ინტენსივობის ე.წ. „თეთრი ხმაური“ მიეწოდებოდა.

ტლზბპ ერთდოულად რეგისტრირდებოდა როგორც იფსი-, ასევე კონტრალატერალური მხრიდან. გამოკვლევაში ყურადღება უპირატესად ექცეოდა ტლზბპ-ის ცალკეული კომპონენტის აბსოლუტურ ლატენტურ პერიოდებს, პიკთაშორის ინტერვალებს, პიკების ამპლიტუდას და კონფიგურაციას. გამოწვეული პასუხების აბსოლუტური ლატენტური პერიოდები სარეგისტრაციო სისტემის დისპლეიზე კურსორის დახმარებით



ხმოვანი გაღიზიანების დაწყების მომენტიდან გამოითვლებოდა. ტლსბპ-ის ცალკეული პიკის ამპლიტუდა სტანდარტული წესით განისაზღვრებოდა. ვითვალისწინებდით, რომ ტლსბპ-ის ლატენტური პერიოდები მრავალ, ხშირად არაკონტროლირებად ფაქტორზეა დამოკიდებული, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გაცილებით უფრო მეტად საიმედო კრიტერიუმს ტლსბპ კომპონენტების პიკთაშორის ინტერვალს ექცეოდა. უფრო კონკრეტულად – I-V, I-III და III-V პიკთაშორის ინტერვალებს, ვინაიდან ამ პარამეტრების ნორმიდან გადახრა ღეროვანი სტრუქტურების გარკვეული ორგანული და ფუნქციური დარღვევებისთვის დამახასიათებელ საკმაოდ მყარ დიაგნოსტიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

## შედეგები და მათი განხილვა


ქალა-ტვინის სხვადასხვა ხარისხის ტრავმის ნარჩენი მოვლენების პერიოდში ტლსბპ-ის გამოკვლევებმა ღეროს სტრუქტურის მკვეთრად გამოხატული ფუნქციური დარღვევები გამოავლინა. ამ დროს პაციენტთა უმეტესობა ხანგრძლივ თავის ტკივილს, მეხსიერების დაქვეითებას, აზროვნების პროცესის შეზღუდვას, გუგუნს თავის ქალაში, სმენის დაქვეითებას და ყურებში განუწყვეტელ ხმაურს (ტინიტუსი) უჩიოდა.

ტლსბპ-ის ცვლილებები ყველა შემთხვევაში ძლიერ ინდივიდუალური და მთლიანად განისაზღვრება დაზიანების ხასიათით, მისი მოცულობით და, ამის შედეგად, განვითარებული პათოლოგიური პროცესებით. ამიტომ ზოგჯერ გაცილებით ნაკლებად მძიმე ტრავმის შემთხვევაში შესაძლებელია გამოიხატოს ტლსბპ-ის პარამეტრთა მნიშვნელოვანი ცვლილებები და, პირიქით.

თავის ტვინის მსუბუქი შერყევის ნარჩენი მოვლენების პერიოდში ჩატარებულ გამოკვლევებში ტლსბპ-ის მაჩვენებლები უმრავლეს შემთხვევაში არ გამოირჩეოდა ნორმისგან. საშუალო და განსაკუთრებით მძიმე ტრავმის ნარჩენი მოვლენების პერიოდში აღინიშნებოდა ტლსბპ-ის პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც პოტენციალების ლატენტური პერიოდების და პიკთაშორის ინტერვალების მკვეთრ გაზრდაში გამოიხატებოდა. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ცვლილებები ტლსბპ-ის ცალკეული კომპონენტის ამპლიტუდის ძლიერი შემცირებით და მახინჯი კონფიგურაციის სახით ვლინდებოდა. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, გამოწვეული უნდა იყოს სმენითი იმპულსაციის გადაცემის სისწრაფის შემცირებით და ტლსბპ-ის გენერაციაში ჩართული სტრუქტურების გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობის ნეირონების აქტივაციით და მათი ასინქრონული მოქმედებით. ხშირად ქალა-ტვინის ძლიერი ტრავმის ნარჩენი მოვლენების პერიოდში რეგისტრირებული ტლსბპ-ის ამპლიტუდა კიდევ უფრო მეტად იყო შემცირებული, ზოგჯერ იმდენად, რომ შეუძლებელი ხდებოდა უმეტესი პოტენციალის იდენტიფიცირება. უფრო ხშირად გამოხატული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მღვრადი ტალღები – I, III, V. მნიშვნელოვნად იყო მომატებული V პიკის აბსოლუტური ლატენტური პერიოდი, აგრეთვე I-V, I-III და III-V პიკთაშორის ინტერვალები, რაც აღემატებოდა ნორმის მაჩვენებლებს ან აღწევდა მის უკიდურეს ზედა


ზღვარს. მკვეთრად გამოიხატებოდა იფსი- და კონტრალატერალურ მხარეთა ტლზბპ-ის ლატენტური ასიმეტრია. მოყვანილი მონაცემები მკაფიოდ უჩვენებს ქალატინის ტრავმის ნარჩენი მოვლენების პერიოდში ღეროს სტრუქტურების ძლიერ დისფუნქციას, რაც ხშირად პაციენტთა სმენის ფუნქციის სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობს.

წარმოდგენილია 52 წლის პაციენტის ტლზბპ-ის ჩანაწერი, რომელმაც რეგისტრაციამდე 2 წლით ადრე მიიღო ქალატინის მძიმე ტრავმა. კარგად ჩანს იფსი- და კონტრალატერალურ მხარეს ძლიერ დაკნინებული გამოწვეული პასუხები. ამასთან, გაზრდილია I-III და III-V პიკთაშორის ინტერვალები, აგრეთვე მომატებულია I-V ინტერვალი. პაციენტი აღნიშნავდა განუწყვეტელ გუგუნს და ხმაურს თავის ქალაში, მენტალური პროცესების გაუარესებას და მეხსიერების დაქვეითებას. III-V და I-III პიკთაშორის ინტერვალების სხვაობა ერთმანეთის ტოლია, რაც ნორმიდან გადახრაზე მიუთითებს. აღინიშნება ღეროს სმენითი იმპულსაციის გამტარი გზების მკვეთრი დისფუნქცია (სურ. 2).



სურათი 2. თ.ქ. 52 წლის. რეგისტრაციამდე ორი წლის წინ მიღებული თავის ტრავმა. ორივე მხარეს აღინიშნება გპ ძლიერი დაკნინება ამპლიტუდაში. შეზღუდული აქვს მეხსიერებისა და გონებრივი პროცესები. აღნიშნავს მუდმივ ხმაურს თავის ქალაში. V - 6.3 მსეკ. აღემატება ნორმის ფარგლებს: I-V პიკთაშორის ინტერვალი 4.6 მსეკ, აგრეთვე აღემატება ნორმის ფარგლებს. სტიმულაცია ბინაურული 85 დბ. აღინიშნება ღეროს ძლიერი დისფუნქცია

ტინის ღეროს ძლიერი დაზიანების თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება სურ. 3-ზე წარმოდგენილი ჩანაწერი, სადაც მკაფიოდ გამოიხატება ყუმბარის აფეთქების შედეგად მიღებული კონტუზიის ნარჩენი მოვლენების პერიოდში რეგისტრირებული ტლზბპ-ის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ორივე გამოყვანაში გამოიხატება გაწველილი ფორმის I და V ტალღები. ტლზბპ-ის სხვა კომპონენტები მნიშვნელოვნადაა დაკნინებული.




სურათი 3. ყუმბარის აფეთქების შედეგად მიღებული კონტუზიის შემდგომი პერიოდი. ჩანს სიმეტრიულად I და V ტალღები. სხვა კომპონენტები ძლიერ დაკნინებულია. I-V - 4.16 მსეკ. იმულსის გატარების სისწრაფე ნორმის ფარგლებშია. სტიმულაცია ბინაურული 90 დბ. აღინიშნება ღეროს ძლიერი დისფუნქცია.

გაზრდილია ან მცირედ აღემატება ნორმის ზედა ზღვარს I-V, I-III და III-V პიკთაშორის ინტერვალები. პაციენტს აღენიშნებოდა წინა შემთხვევაში აღწერილის მსგავსი ჩივილები. ქალა-ტვინის ტრავმების ზოგიერთ შემთხვევაში მკვეთრად გამოიხატა იფსი- და კონტრალატერალურ მხარეთა ტლზბპ-ის შორის ლატენტური ასიმეტრია. ამავე დროს კომპონენტების აბსოლუტური ლატენტური პერიოდები ძლიერ იყო მონატებული. დადებითი სხვაობა მკვეთრად იყო გამოხატული III-V და I-III პიკთაშორის ინტერვალებს შორის, რაც რეტროკოხლეარული პათოლოგიისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს (სურ. 4).


ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქალა-ტვინის სხვადასხვა სიმძიმის ტრავმას საკმაოდ ხშირად თან ახლავს სმენის ფუნქციის მთელი რიგი დარღვევები. სმენის ფუნქცია სერიოზულად ირღვევა აგრეთვე თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის, კემორაგიული და იშემიური ინსულტების, ნეიროინფექციების, სამშობიარო ტრავმების შემთხვევებში. სმენის ფუნქცია განსაკუთრებით სერიოზულად ზიანდება ვერტებრო-ბაზილარული სისტემის აუზში სისხლნაკლებობის (დისცირკულაციის) და შედეგად ჟანგბადის არასაკმარისი მომარაგების (ჰიპოქსიის) გამო, უპირატესად შიგნითა ყურის ნატიფი სტრუქტურების დაზიანების შემთხვევაში, რაც ინტრაკოხლეარული ნეიროსენსორული სმენაჩღუნგობის მიზეზი ხდება [1].

თავის ტვინის ინფექციური (ანთებითი) დაავადებების შედეგად სმენის ფუნქციის დარღვევის ნარჩენი მოვლენების პერიოდში აღინიშნებოდა პაციენტთა ღეროს გამოწვეული პოტენციალების მნიშვნელოვანი ცვლილებები.




სურათი 4. პაციენტი ა.გ. 9 წლის. გამოხატულია მკვეთრი ასიმეტრია მხარეებს შორის. გაზრდილია ბპ ლატენტური პერიოდები, უფრო მეტად მარცხნივ. V პიკი 6.16 მსეკ. I-V - 4.18 მსეკ. ორივე მხარეს სიმეტრიულად. სტიმულაცია 85 დბ

სურ. 5-ზე ნაჩვენებია 53 წლის პაციენტის ტლსბპ-ის ჩანაწერი, რომელმაც ბავშვობაში ბუღბარული ფორმის პოლიომიელიტი გადაიტანა. პაციენტს მარჯვენა ყურში საერთოდ არ ესმოდა, მხოლოდ შიშინს შეიგრძნობდა. ტლსბპ როგორც მარცხენა, ისე, განსაკუთრებით, მარჯვენა მხარეს ძლიერ დაკნინებულია. ამ შემთხვევაში თვალნათლივ გამოვლინდა ღეროს სტრუქტურების ძლიერი დისფუნქცია.



სურათი 5. ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტი. მ.ხ. 53 წ. სუბიექტურად: მარჯვენა ყურში არ ესმის, აღნიშნავს მხოლოდ შიშინის შეგრძნებას. მარჯვნივ ბპ ძლიერ დაკნინებულია. I-III პიკთაშორის ინტერვალი 2.24 მსეკ, შეესაბამება ნორმის ზედა ზღვარს. სტიმულაცია ბინაურული 85 დბ. აღინიშნება ღეროს მკვეთრი დისფუნქცია

დაახლოებით მსგავსი სურათია წარმოდგენილი სურ. 6-ზე, რომელიც ნაწერილია თავის ტვინის ნეირონიფექციის ნარჩენი მოვლენების პერიოდში. ტლსბპ-ის მკვეთრი ცვლილებები მკაფიოდ გამოხატავს სმენის ფუნქციის ძლიერ დარღვევას. ორივე მრუდზე სიმეტრიულად რეგისტრირდება დიდი ლატენტობის მქონე V პიკი. ამ შემთხვევაშიც მკვეთრად გამოიხატება დეროს დისფუნქცია. ტლსბპ-ის ასეთი სახის დარღვევები მკაფიოდ მეტყველებს დეროს სტრუქტურების ალტერაციულ ცვლილებებზე, რაც ხშირად ვლინდება დაზიანებიდან საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდგომაც.



სურ. 6. თავის ტვინის ნეირონიფექცია. ლ. 11 წ. სიმეტრიულად გამოხატება V პიკი 6.29 მსეკ. ბევრად აღემატება ნორმის ფარგლებს. მარჯვენა მხარეს გამოიხატება დაბალი ამპლიტუდის და დიდი ლატენტობის I და III ტალღები. სტიმულაცია ბინაურული 90 დბ. აღინიშნება ძლიერი დისფუნქცია

პათოლოგიური მდგომარეობის ნარჩენი მოვლენების პერიოდისთვის დამახასიათებელია ნევროზები და ნევროზის მსგავსი მდგომარეობები, ტრავმული ენცეფალოპათია, რომელიც ძლიერი თავის ტკივილით, თავბრუსხვევით და შრომისუნარიანობის დაქვეითებით ხასიათდება [2]. ამ ტიპის ჩივილები ჰქონდათ აგრეთვე ჩვენ მიერ გამოკვლეულ პაციენტებსაც, როდესაც დეროს გარკვეული ფუნქციური დარღვევები და თავისებურება მკაფიოდ გამოვლინდა ტლსბპ-ის შესწავლისას.

სტრუქტურის და ფუნქციის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემები მეტყველებს დეროს მკვეთრად გამოხატული ორგანული დაზიანების მრავალგვარობასა და ფუნქციური დარღვევების მოზაიკურობაზე, რაც თავის ასახვას უთუოდ უნდა პოულობდეს ტლსბპ-ის მნიშვნელოვან ცვლილებებში.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები გარკვეულად ეთანხმება ზოგიერთი ავტორის [4, 20 და სხვ.] მიერ მსგავს გამოკვლევებში მიღებულ შედეგებს. ამ ავტორების და საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით, თამამად უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღწერილი პათოლოგიების ნარჩენი მოვლენების პერიოდში გამოვლენილი ტლსბპ-ის უხეში ცვლილებები სწორედ დე-

როვანი სტრუქტურების მრავალნაირი ფუნქციური დარღვევებითაა გამოწვეული. ამასთან, აღსანიშნავია შემდეგი ტენდენცია – ტვინის ღეროს რაც უფრო მეტად მაღალ დონეზე ლოკალიზდება პათოლოგიური კერა, ტლზბპ-ის მით უფრო გვიანი კომპონენტი განიცდის შესაბამის ცვლილებას [5, 6 და სხვ.] ამის გამოვლენის მეტად მგრძობიარე ინდიკატორს მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულების მქონე ტლზბპ-ის კვლევის მეთოდი წარმოადგენს [1, 3, 4, 5, 7, 8, 9, 20 და სხვ.]

კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით მიღებული მონაცემების გათვალისწინება და კლინიკურ მონაცემებთან შეჯერება, ხშირ შემთხვევაში, საშუალებას იძლევა მივიღოთ სასარგებლო ლოკალურ-დიაგნოსტიკური ინფორმაცია ღეროს სტრუქტურების დაზიანების და ფუნქციური მდგომარეობის შესახებ.

## ლიტერატურა

1. ხუნდაძე ი. მედიცინის და ბიოლოგიის აქტუალური საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. „დ. გორდელაძე“, თბილისი, 1998, 153-154.
2. Бадалян А.О. Невропатология, Москва, “Просвещение”, 1987, 319 с.
3. Бреже Р. Электрическая активность нервной системы. Москва, 1979, 176 с.
4. Брутян А.В. Автореферат кандидатской диссертации, Москва, 1990.
5. Дубова С.Б., Клумбис Э.Л. Аудиометрия по слуховым вызванным потенциалам. Тезисы Междунар. симпозиума, Тбилиси, 1983, Г.Г. Лежава и др. с. 69.
6. Клумбис Э.Л. Нейрофизиология острой черепно-мозговой травмы. Вильнюс, 1976, с. 145.
7. Оглезнев К.Я., Шестериков С.А., Шубин Е.Б. Вызванные потенциалы ствола мозга и периферических нервов. Новосибирск. “Наука” 1987, с. 191.
8. Хечинашвили С.Н., Кеванишвили З.Ш. Слуховые вызванные потенциалы человека. “Сაბჭოთა საქართველო”, Тбилиси, 1985, с. 367.
9. Шахнович А.Р., Томас Д.Г., Дубова С.Б., Милованова Л.С., Сасалыкин В.И. и др. Анестезиол., 1981, 1, 41-53.
10. Davis H. Ann. Otol. (St Louis), 1976, 85, 3-14.
11. Jungert S. Acta Oto-Laryngol., 1958, (Sappe 138).
12. Jewett D.L., Williston J.S. Brain, 1971, 94, 681-696.
13. March J.T., Brown W.S., Smith J.C. EEGJ, 1974, 36, 415-424.
14. Michalewski H.J., Thompson L.W., Patezson J.V. et al. EEGJ, 1980, 48, 351-356.
15. Moller A., Janetta P. J. Exp. Neurol., 1982, 78, 144-157.
16. Scales D.L., Rossiter V.S., Weinstein M.E. J. Trauma, 1979, 19, 347-353.
17. Scales D.L., Rossiter V.S., Weinstein M.E., Spenser D. Electroenceph. Clin. Neurophysiol., 1979, 47, 639-643.
18. Starr A., Hamilton A.E. Electroenceph. Clin. Neurophysiol., 1976, 41, 595-608.
19. Tharnton A.R., Hawkes C.H. J. Neurol. Neur. Phychiat., 1976, 39, 586.
20. Tsubokawa T. et al. J. Neurol. Neurosurg. Phychiat., 1980, 43, 1005-1011.

## ИССЛЕДОВАНИЕ СЛУХОВЫХ ВЫЗВАННЫХ ПОТЕНЦИАЛОВ МОЗГОВОГО СТВОЛА (СВПМС) В ПЕРИОД ОСТАТОЧНЫХ ЯВЛЕНИЙ СОТЯСЕНИЙ ГОЛОВНОГО МОЗГА И НЕКОТОРЫХ ВОСПАЛИТЕЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ

*Г. Квернадзе, Г. Андроникашвили, С. Чипашвили, Т. Гурашвили,  
К. Гогешвили, Н. Ахобадзе*

Экспериментальный центр биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

Исследования слуховых вызванных потенциалов мозгового ствола (СВПМС) на пациентах разного возраста и пола в период остаточных явлений разной степени сотрясений головного мозга и некоторых воспалительных заболеваний показали грубые функциональные нарушения стволовых структур мозга.

В период остаточных явлений легкого сотрясения головного мозга СВПМС практически не отличались от нормы. После среднего и, особенно, тяжелого сотрясения головного мозга СВПМС отличались существенными изменениями. Это проявлялось в уменьшении амплитуды отдельных компонентов СВПМС вплоть до полного их исчезновения; в увеличении их абсолютных латентных периодов; в возрастании межпиковых латентных периодов на фоне латентной асимметрии СВПМС ипси- и контралатеральных сторон. В некоторых случаях невозможно было идентифицировать отдельные компоненты СВПМС.

Значительные изменения СВПМС выявлены в период остаточных явлений некоторых воспалительных заболеваний головного мозга, когда СВПМС отчетливо показали характер и своеобразие серьезных нарушений слуховой функции.

В отдельных случаях сотрясений головного мозга, при которых страдала слуховая функция, разница межпиковых интервалов III-V и I-III компонентов была положительного знака, что является одним из существенных критериев ретрокохlearной патологии.

Выявленные, в период остаточных явлений сотрясений головного мозга и некоторых воспалительных заболеваний головного мозга, грубые изменения СВПМС, по-видимому, вызваны повреждением и серьезными функциональными нарушениями именно стволовых структур, адекватным показателем которого является неинвазивный метод исследования СВПМС.

Рассмотрение характера изменений СВПМС в сопоставлении с клиническими данными в ряде случаев позволяет получить полезную локально-диагностическую информацию, в частности, о нарушении и функциональном состоянии стволовых структур, преимущественно, слуховых проводящих путей.

## THE STUDY OF BRAINSTEM AUDITORY EVOKED POTENTIALS DURING BRAIN CONCUSSION AND RESIDUAL EFFECTS OF SOME INFLAMMATORY PROCESSES

*G. Kvernadze, G. Andronikashvili, S. Chipashvili, T. Gurashvili, K. Gogeshvili,  
N. Akhobadze*

LEPL Iv. Beritashvili Experimental Center for Biomedicine, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

The study of brainstem auditory evoked potentials (BAEP) in the patients of different ages and sex groups in the period of brain concussion of different degrees and residual effects of some inflammatory diseases has shown a drastic functional disturbance of the brainstem.

In the period of residual effects of mild brain concussion BAEP did not practically differ from the norm. Following moderate and especially severe brain concussion BAEP was distinguished by significant changes, expressed in a reduction or total vanishing of amplitude of each BAEP component, an increase of their absolute and interwave latent periods, occurring on the background of latent asymmetry of BAEP on the ipsi- and contralateral sides. Sometimes it was impossible to identify the separate components of BAEP.

The important changes in BAEP are found in the period of residual effects of some inflammatory diseases, when the study of BAEP has clearly shown the character and feature of grave disturbance of auditory function.

In some individual cases of brain concussion with a damage to the auditory function the difference between III-V and I-III interwave intervals was characterized by a positive sign, which represents one of the important criteria of retrocochlear pathology.

It seems that the drastic changes in BAEP displayed in the period of brain concussions and residual effects of some inflammatory brain diseases are induced by the damage of brainstem structures and serious functional disturbances which appears to be a noninvasive research method of BAEP.

The discussion of characteristic changes in BAEP and matching them with clinical data, in some cases give us the opportunity of getting the useful local diagnostic information about brain stem structures in particular, predominantly about the damage of auditory pathways and their functional condition.



## სისხლის რეოლოგიური სტატუსი ობსტრუქციული აპნოეს დროს

*მ. მანჭკავა, ვ. აზიკური, ნ. მომცელიძე, ნ. მითავარი*

ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი, საქართველო

აპნოე არ არის დამოუკიდებელი ნოზოლოგია. იგი აზიანებს ორგანიზმის მრავალ სისტემას. ჩვენი კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ ობსტრუქციული აპნოეთი დაავადებული პაციენტები ( $n=44$ ) (საშუალო ასაკი  $45.4 \pm 5$ ) და საკონტროლო ჯგუფი: ჯანმრთელი სუბიექტები ( $n=20$ ), საშუალო ასაკით  $36.3 \pm 5$ . ყველა პაციენტს ჩაუტარდა სრული რეოლოგიური გამოკვლევა (ერთროციტების აგრეგალობა, ერთროციტების დეფორმალობა, პლაზმის სიბლანტე და ჰემატოკრიტი), რომელიც პაციენტებში სრულფასოვნად ადგენს რეოლოგიურ სტატუსს. ერთროციტების აგრეგალობის ინდექსი არის  $42.7 \pm 7.2$ , ერთროციტების დეფორმალობის ინდექსი –  $2.23 \pm 0.06$ , სისხლის პლაზმის სიბლანტის მნიშვნელობაა  $1.27 \pm 0.03$  და ჰემატოკრიტი ტოლია  $39 \pm 5$ . იგივე პარამეტრების განაწილება საკონტროლო ჯგუფში შემდეგია: ერთროციტების აგრეგალობის ინდექსი –  $25.0 \pm 3.0$ , ერთროციტების დეფორმალობის ინდექსი –  $2.23 \pm 0.02$ , სისხლის პლაზმის სიბლანტე –  $1.25 \pm 0.02$  (სანტიპუაზი), ჰემატოკრიტი –  $45 \pm 3$ . ჩვენი მონაცემების თანახმად, ობსტრუქციული აპნოეს დროს რეოლოგიური სტატუსი იცვლება, რაც ინფორმატიული და აქტუალურია ფუნდამენტური ფიზიოლოგიისა და გამოყენებითი მედიცინისთვის. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა გაკეთდეს რეკომენდაცია, რათა ობსტრუქციული აპნოეს მკურნალობის პროცესში ჩართული იყოს დეზაგრეგანტებიც.

**საკვანძო სიტყვები:** ობსტრუქციული აპნოე, ჰემორეოლოგიური სტატუსი, ერთროციტი

ნებისმიერი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება ძილ-ღვიძილის ციკლის ადეკვატურობით. ძილის სხვადასხვა ფაზებში მიმდინარეობს განსხვავებული ჰემოდინამიკური პროცესები. ძილ-ღვიძილის პათოლოგიებში განსაკუთრებული როლი აპნოეს ცენტრალურ, ობსტრუქციულ და შერეულ ფორმებს უკავია. სუნთქვის შეჩერების ეპიზოდები ძილში, ძლიერი ხვრინვა და უხარისხო ღვიძილი იწვევს ტაქიკარდიაში გარდამავალ ბრადიკარდიას, სინუსური კვანძის ბლოკადას, ატრიოვენ-

ტიკულურ ბლოკდას, პარკუჭოვან ტაქიარითმიებს [1, 4]. ყოველგვ კს ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა მიძიმე პათოლოგიების ჩამოყალიბებას და ხშირად იწვევს ლეტალობას [9]. ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი მიმართულების კვლევა, რომელიც ნათელს მოჰფენს ანოეს პათოგენებს და დაეხმარება კლინიციისტებს პრობლემის გადაჭრაში, ძალზე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში ანოეს სინდრომის შესწავლა მრავალი დარგის მეცნიერების (პულმონოლოგები, ნევროლოგები, კარდიოლოგები, ფიზიოლოგები) პრეროგატივაა, სისხლის რეოლოგიური თვისებები ობსტრუქციული და ცენტრალური ანოეს დროს შესწავლილი არ არის.

ობსტრუქციულ ანოეს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია სისხლძარღვთა ვაზოდილატაციას და ვაზოკონსტრიქციას [2, 3]. სისხლძარღვთა ფუნქციური ცვალებადობა დამოკიდებულია მიკროცირკულაციაზე, რომელიც რეოლოგიური სტატუსით ხასიათდება და განისაზღვრება ერთთროციტთა აგრეგაციის და დეფორმაციის უნარით, სისხლის პლაზმის სიბლანტით და ერთთროციტთა კონცენტრაციით [5]. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია რეოლოგიური თვისებების მონიტორინგი როგორც ფუნდამენტური კვლევების თვალსაზრისით, ასევე გამოყენებითი ბიომედიცინისთვის. ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ობსტრუქციული ანოე სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე.

## მასალა და მეთოდები

ჩვენი კვლევის პირებს წარმოადგენდნენ ობსტრუქციული ანოეთი დაავადებული პაციენტები ( $n=44$ ), საშუალო ასაკით  $45.4 \pm 5$  და საკონტროლო ჯგუფი – ჯანმრთელი სუბიექტები ( $n=20$ ), საშუალო ასაკით  $36.3 \pm 5$ . ყველა პაციენტს ჩაუტარდა რეოლოგიური გამოკვლევა (ერთთროციტების აგრეგაცია, ერთთროციტების დეფორმაცია, პლაზმის სიბლანტე და ჰემატოკრიტი), რომელიც სრულად აღგენს რეოლოგიურ სტატუსს [5].

ერთთროციტების აგრეგაციის ინდექსი წარმოადგენს აგრეგირებულ ერთთროციტების ფართობის შეფარდებას ერთთროციტების სრულ ფართობთან და გამოიხატება პროცენტებში. ერთთროციტთა აგრეგაციის ინდექსს ვიკვლევდით “Georgian Technique”-ით [6, 7]. ჰემატოკრიტს ვზომავდით ცენტრიფუგირების მეთოდით (8000 ბრ. 10 წთ). ერთთროციტების დეფორმაციის ინდექსს ვიკვლევდით ფილტრაციის მეთოდით (Nucleopore Membrane Filter Method), რომელიც ეფუძნება ფორებიან ფილტრში (კაპილარის სანათურია  $5 \mu\text{m}$ ) ერთთროციტის გასვლის სიჩქარის ცვალებადობას მუდმივი წნევის პირობებში (10 სმ ვერ. წყ. სვ.) [10].

სისხლის პლაზმის სიბლანტე კაპილარული მეთოდით დგინდებოდა. ჩვენ ვიყენებდით ვისკოზიმეტრს 1.8 მმ დიამეტრით, პლაზმის მოძრაობა ინდუცირდებოდა მიზიდულობის ძალით  $37^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე.

## შედეგები და განხილვა

მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად მივიღეთ: ერთროციტების აგრეგაციის ინდექსი -  $42.7 \pm 7.2$ , ერთროციტების დეფორმაციის ინდექსი -  $2.23 \pm 0.06$ , სისხლის პლაზმის სიბლანტის მნიშვნელობაა  $1.27 \pm 0.03$  (სანტიპუაზი) და ჰემატოკრიტი -  $39 \pm 5$ . იგივე პარამეტრების განაწილება საკონტროლო ჯგუფში შემდეგია: ერთროციტების აგრეგაციის ინდექსი -  $25.0 \pm 3.0$ , ერთროციტების დეფორმაციის ინდექსი -  $2.23 \pm 0.02$ , სისხლის პლაზმის სიბლანტე -  $1.25 \pm 0.02$  (სანტიპუაზი), ჰემატოკრიტი -  $45 \pm 3$ . სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა პროგრამა Origin 4.1. (Microcat. Software. Inc)-ით და Microsoft Excel-ით. სტიუდენტის t-ტესტის მეშვეობით შედარდა რეოლოგიური პარამეტრები ანოეს მქონე პაციენტთა ჯგუფსა და საკონტროლო ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ ობსტრუქციული ანოეს დროს რეოლოგიური პარამეტრები არაერთგვაროვნად იცვლება. კერძოდ, დეფორმაციის და პლაზმის სიბლანტის პრაქტიკულად უცვლელობის ფონზე მკვეთრად იზრდება ერთროციტების აგრეგაცია და იკლებს საერთო ჰემატოკრიტი. მონაცემების საშუალოები მოცემულია  $M \pm m$  ფორმატში, სტატისტიკური სარწმუნოება დადგენილია ყველა მანუვრის მიმართ. რეოლოგიური პარამეტრების ერთობლიობა გვაძლევს მთლიან სურათს სისხლის რეოლოგიასა და მიკროცირკულაციაზე. რეოლოგიური კვლევა არის სისხლის დინების, სინქარის, სისხლძარღვების დამატრების ცვალებადობის, სისხლძარღვის სისისტე/დრეკადობის, ფორმიანი ელემენტების აგრეგაციის, პლაზმის ფუნქციების რაოდენობრივი ანალიზების ერთობლიობა [5, 7].

სისხლის არტერიული წნევის ცვლილება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის პათოგენეზი დამოკიდებულია რეოლოგიური სისტემის მდგომარეობაზე. ობსტრუქციული ანოეს დროს ზუსტად ეს სისტემები ზიანდება [8, 11]. ობსტრუქციული ანოე ზემოქმედებას ახდენს სისხლის რეოლოგიურ სტატუსზე. რეოლოგიური პარამეტრები არაერთგვაროვნად იცვლება. ერთროციტების აგრეგაცია მკვეთრად იმატებს ობსტრუქციული ანოეს დროს ( $p < 0.001$ ). როგორც ჩანს, ეს არის დაავადების გამოვლინება. მიკროცირკულაციის ქსელში აგრეგირებული ერთროციტები აფერხებს სისხლის ნაკადს, რაც იწვევს ჰიპოქსიას და მასზე დამოკიდებულ ცვლილებებს. ერთროციტების დეფორმაცია და პლაზმის სიბლანტე ობსტრუქციული ანოეს პირობებში მერყეობს ნორმის ფარგლებში (მონაცემები სარწმუნოა). ამას საფუძვლად უდევს ის, რომ ჰიპოქსია, რომელიც განვითარდა მრავალი კაპილარის სტაზირებით და დახურვით, არ იყო საკმარისი ერთროციტის სისისტე/დრეკადობის დაზიანებისთვის, სავარაუდოდ, ამიტომ არ შეიცვალა დეფორმაციის უნარი და სისხლის პლაზმის სიბლანტის მომატება არ მოხდა. ობსტრუქციული ანოეს პირობებში ჰემატოკრიტი სარწმუნოდ იკლებდა. ეს, სავარაუდოდ, კომპენსატორული მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ჩვენი კვლევის საფუძველზე შესაძლოა გაიცეს რეკომენდაცია ობსტრუქციული ანოეს დროს დაინიშნოს აგრეგაციის

დამწვევი საშუალებები. მიუხედავად ამჟამინდელი დიდი დაინტერესებისა, ჯერ კიდევ მრავალი ასპექტია შესასწავლი აპნოეს კლასიფიკაციის, მართვის და პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით. მიღებული შედეგები ინფორმატიული და აქტუალურია ფუნდამენტური ფიზიოლოგიისა და გამოყენებითი მედიცინისთვის. ვიმედოვნებთ, რომ კვლევა ამ მიმართულებით გაგრძელდება და შესაძლებელი იქნება აპნოეს სინდრომის დროს ანტიაგრეგანტული მკურნალობის ეფექტურობის შეფასება. ყოველივე ეს კი, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს ობსტრუქციულ აპნოეს დაძლევას.

## ლიტერატურა

1. *Ehlenz K., Peter J.H., Schneider H. et al.*, Renin secretion is substantially influenced by obstructive sleep apnea syndrome. In: Sleep '90. (ed) J.Horne, Bochum: Pontenagel Press: 1990, 193-195.
2. *He J., Kryger M.H., Zorick F.J. et al.* Chest, 1988, 94, 9-14.
3. *Knight H., Millman R.P., Gur R.C. et al.* Am. Rev. Respir. Dis., 1987, 136, 845-850.
4. *Krieger J., Benzoni D., Sforza E., Sassard J.* Clin. Exp. Pharmacol. Physiol., 1991, 18, 511-515.
5. *Mantskava M.* <http://cyberleninka.ru/article/n/hemorrhagic-shock-and-stress-cause-and-consequence-of-hemorheology-disturbances-on-the-example-of-the-changes-in-erythrocyte-aggregation>, 2014.
6. *Mchedlishvili G., Beritashvili N., Lominadze D., Tsinamdzgvrishvili B.* Biorheol., 1993, 2, 153-161.
7. *Mchedlishvili G.* Clinical Hemorheology and Microcirculation, 2004, 30, 179-180.
8. *Nobili L., Schiavi G, Bozano E. et al.* Clin. Hemorheol. Microcirc., 2000, 22, 21-27.
9. *Palomaki H., Partinen M., Erkinjuntti T., Kaste M.* Neurology, 1992, 42, 75-81.
10. *Reid H. L., Barnes A. J., Lock P. J., Dormandy J. A., & Dormandy T. L.* Clin. Pathol., 1976, 29 (9), 855.
11. *Somers V.K., Mark A.L., Abboud F.M.* Clin. Exp. Hypertens., 1998, 10, 413-422.

## ГЕМОРЕОЛОГИЧЕСКИЙ СТАТУС КРОВИ ПРИ ОБСТРУКТИВНОМ АПНОЭ

*М. Манцкава, Г. Азикури, Н. Момцелидзе, Н. Митагвария*

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

Апноэ невозможно рассмотреть как обособленное заболевание. Мы обследовали пациентов с обструктивным апноэ в возрасте  $45.4 \pm 5$  лет ( $n = 44$ ) и контрольную группу, состоящую из здоровых субъектов ( $n = 44$ ) со средним возрастом  $36.3 \pm 5$  лет. В обеих группах исследовался реологический статус крови. Агрегация эритроцитов в группе пациентов была  $42.7 \pm 7.2$ , деформация эритроцитов –  $2.23 \pm 0.06$ , вязкость –  $1.27 \pm 0.03$  и

гематокрит –  $39 \pm 5$ . В контрольной группе агрегация эритроцитов была  $25.0 \pm 3.0$ , деформация эритроцитов –  $2.23 \pm 0.02$ , вязкость плазмы –  $1.25 \pm 0.02$ , гематокрит –  $45 \pm 3$ . По каждому показателю проводилось сравнение среднего арифметического значения для изучаемых групп. Значимость различий оценивалась с помощью критериев Стьюдента и Пирсона. В работе впервые дается анализ гемореологического статуса у пациентов с обструктивным апноэ. Полученные данные позволяют рекомендовать клиницистам в стандартное лечение обструктивного апноэ включить и дезагреганты.

## BLOOD RHEOLOGICAL STATUS IN OBSTRUCTION APNEA

*M. Mantskava, G. Azikuri, N. Momtselidze, N. Mitagvaria*

I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Sleep apnea is an independent pathology and a powerful stress for the organism. Apnea affects different systems. 44 patients with obstructive apnea (age  $45.4 \pm 5$  years) were under observation. Control group consisted of healthy subjects aged  $36.3 \pm 5$  years. Rheological status in the group of patients was as follows: RBC aggregability index –  $42.7 \pm 7.2$ , RBC deformability index was  $2.23 \pm 0.06$ , plasma viscosity –  $1.27 \pm 0.03$  and Hct –  $39 \pm 5$ . The same parameters in the control group were: RBC aggregability index –  $25.0 \pm 3.0$ , RBC deformability index –  $2.23 \pm 0.02$ , plasma viscosity –  $1.25 \pm 0.02$ , Hct –  $45 \pm 3$ . The obtained data allow to recommend clinicians to include disaggregants in standard treatment of obstructive sleep apnea.

## ფსიქოგენური სტრესორის ნიადაგზე დისტრესის ფიზიოლოგიური კორელატების აღმოცენების პრობლემა

*მ. მაღრაძე*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

სტატიაში დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს ფსიქოლოგიური სტრესორი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ დაძაბვა-მობილიზაციას. გავრცელებული შეხედულებით ყველაფერი იწყება სიტუაციის კოგნიტური შეფასებით, მაგრამ ასეც რომ იყოს, კოგნიტური შეფასების მიერ ფიზიოლოგიური პროცესების გამოწვევის კონკრეტული მექანიზმი მაინც მოსაძებნია. გარდა ამისა, ექსტრემალურ პირობებში აღმოცენებული დისტრესის მიმდინარეობა ნათლად აჩვენებს, რომ სტრესი იწყება არა კოგნიტური შეფასებით, არამედ მყისიერი ცვლილებით და ემოციური რეაქციებით. კოგნიტური აქტიურობისთვის სუბიექტი მხოლოდ მოგვიანებით იცლის. საგანგებო ანალიზის გზით მივდივართ დასკვნამდე, რომ სტრესულ სიტუაციაში ხდება ზოგადად ასეთ სიტუაციაში რეაგირებისთვის საჭირო გენეტიკურად ფიქსირებული მზაობის აქტივაცია. აქტიურობისთვის მზაობას ქართულ ფსიქოლოგიაში განწყობა ეწოდება. ჩვენ ვიცავთ დებულებას, რომ სტრესის მდგომარეობა განწყობის სპეციფიკური ნაირსახეობაა და დისტრესის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური კორელატების კავშირი და ურთიერთზემოქმედება სწორედ სტრესული განწყობითაა გაშუალებული.

**საკვანძო სიტყვები:** სტრესი, დისტრესი, ეუსტრესი, განწყობა, ემოცია, კოგნიცია

ფსიქოგენური სტრესი ადამიანის ფუნქციური სისტემების ფსიქოლოგიური მიზეზებით (სტრესორებით) გამოწვეული დაძაბვა-მობილიზაციაა. მას აქვს როგორც ფსიქოლოგიური (ხიფათის შეგრძნება და ემოციური დაძაბულობის განცდა), ისე ფიზიოლოგიური (გულის ცემის გახშირება, სისხლის წნევის მომატება, ენერჯის მოზღვავება და სხვ.) კომპონენტები, რომლებიც, ერთმანეთთან კავშირში, სტრესორზე ადგევატური რეაგირებისთვის საჭირო მზაობის მთლიანობით მდგომარეობას ქმნიან. ეს საადაპტაციო ცვლილებები ჭარბი ინტენსივობით ვლინდება დისტრესის შემთხვევაში, როცა რეაგირება არაადეკვატური ხდება, ხოლო სუბიექტის ფსიქო-ფიზიკურ ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება. ჩვენი კვლევის მიზანია თეორიული ანალიზის გზით ჩამოვყალიბოთ გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს

ფსიქოლოგიური სტრესორი ისეთ გავლენას ორგანიზმზე, რაც, ფსიქოლოგიურთან ერთად, შესაბამის ფიზიოლოგიურ ცვლილებებში აისახება.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ფსიქოგენური დისტრესი იწყება სიტუაციის კოგნიტური შეფასებით. მას მოყვება ორგანიზმის ემოციური და ფიზიოლოგიური აგზნება, რაც თავს იჩენს ზემონახსენებ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროცესებში [7]. დისტრესის აქტუალუგენეზის ასეთი გაგება სრულიად შეუთავსებელია სტრესის მიმდინარეობის რეალურ სურათთან. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სიტუაციის კოგნიტური შეფასება იწყება ყველაზე გვიან, ქვევითი და ემოციური რეაქციების მიმდინარეობის გარკვეული ეტაპიდან, ან სულაც ყველაფრის დამთავრების შემდეგ.

ყოველთვის, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე ვდგებით, ჯერ ჩნდება სტრესი, როგორც ორგანიზმის მთლიანობით ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, შემდეგ იგი რეალიზდება მყისიერ მოძრაობით რეაქციაში (თუ სიტუაცია ამას მოითხოვს), აქვე ჩნდება ემოციური განცდა და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ იწყება სიტუაციის კოგნიტური შეფასება, ე.ი. რეალობაში ყველაფერი ხდება არა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ბევრ მკვლევარს (განსაკუთრებით კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს) აქვს წარმოდგენილი: კოგნიცია-ემოცია-რეაქცია, არამედ, პირიქით, რეაქცია-ემოცია-კოგნიცია.

ჩნდება კითხვა: თუ არა სიტუაციის სტრესულობის შეფასების, მაშ რის საფუძველზე ექმნება ადამიანს სტრესული მდგომარეობა? საკითხის ანალიზი დავიწყოთ საკუთრივ სტრესის (მობილიზაციური ეუსტრესის) დახასიათებით. პირველ რიგში გავიხსენოთ, რომ ზოგადად სტრესი ადაპტური ფუნქციის მქონეა და შეცვლილ პირობებთან ცოცხალი ორგანიზმის შეგუებას ემსახურება. ინდივიდის ფსიქო-ფიზიკური ძალები, ყოველ კონკრეტულ მოთხოვნასთან მიმართებაში, მოდის მზაობის ისეთ ორგანიზაციულ მდგომარეობაში, რაც სიტუაციისადმი ადეკვატურ აქტიურობას, ანუ მიზანშეწონილ ქცევას უზრუნველყოფს. სტრესის პრობლემისადმი მიძღვნილ ფიზიოლოგიურ კვლევებში [1, 7, 8] დასაბუთებულია, რომ მზაობის ეს მდგომარეობა წარმოიშვა და განმტკიცდა ევოლუციის ძალზე ადრეულ საფეხურებზე და ადამიანთან იგი ავტომატურად იჩენს თავს, მისი აზრებისა და ნებისგან დამოუკიდებლად.

ჩვენი კვლევა, როგორც ითქვა, იმის გარკვევას ეხება, თუ როგორ აღმოცენდება მოქმედებისთვის სტრესული მზაობა ფსიქოგენური სტრესორის შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ყოველგვარი ფსიქიკური განცდა სუბიექტური სინამდვილის სფეროს მიეკუთვნება, სტრესის ფიზიოლოგიური კორელატები კი სრულიად ობიექტური მოცემულობაა. დასმული საკითხიც ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთობის ზოგადი მეთოდოლოგიური პრობლემის ჭრილში გადაწყვეტას მოითხოვს. ცხადია, საკმარისი არაა მხოლოდ ზოგადი აპელირება იმაზე, რომ ადამიანი ფსიქოფიზიკური მთლიანობაა და ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ პროცესთა შორის გადაულახავი უფსკრული არ არსებობს. საჭიროა მოიძებნოს მათი კავშირის კონკრეტული მექანიზმი.

ცნობილია ამ მეთოდოლოგიური პრობლემის გადაჭრის ორი ვარიანტი: პირველის მიხედვით, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესები უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს. ამ პოზიციას, რასაც დ. უზნაძე უშუალოდ *პოსტულატს* უწოდებს [4], ემყარება სტრესის ზემოთ მოყვანილი გაგება, რომლის მიხედვით ფსიქოგენური დისტრესი იწყება სიტუაციის კოგნიტური შეფასებით, ე.ი. საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს აზრს სიტუაციის პრობლემატურობის (ექსტრემალურობის) შესახებ პირდაპირ შექმნოს დისტრესისთვის დამახასიათებელი ნერვული და სომატური პროცესების გამოწვევა. ამის საპირისპიროდ, *გაშუალების პოსტულატის* მიხედვით, რომელზეც დ. უზნაძე დგას, ფსიქიკური და ფიზიოლოგიური პროცესების კავშირი გაშუალებულია სუბიექტის ორგანიზაციული მზაობითი ქცევის, როგორც ისეთი მიზნობრივი აქტიურობის განხორციელებისთვის, რომელიც ფსიქიკურ პროცესებსაც ჩაირთავს და ფიზიოლოგიურსაც. სუბიექტის ამ ორგანიზაციულ მოდუსს ავტორი *განწყობას* უწოდებს [5]. ყოველგვარი აქცია თუ რეაქცია მხოლოდ განწყობის რეალიზაციის პროცესია.

თუ ამ პოზიციას გავიზიარებთ, მაშინ სტრესი, როგორც მზაობა ადაპტური ქცევისთვის, განწყობის ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ. რეალიზაციის შემდეგ განწყობა გადადის ლატენტურ მდგომარეობაში და ყველა ანალოგიურ სიტუაციაში ფიქსირებული სახით იჩენს თავს. ცნობილია, რომ ინდივიდის ცხოვრების მანძილზე ფიქსირებულ განწყობათა გარდა, არსებობს მემკვიდრეობით მიღებული ფიქსირებული განწყობები [4]. თუ სტრესი განწყობის ნაირსახეობაა, ხოლო ექსტრემალურ სიტუაციებში მყისიერი რეაგირება (უ. კენონისეული ბრძოლა ან გაქცევის რეაქცია) ევოლუციურადაა განმტკიცებული, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დისტრესის დროს ხდება ევოლუციის ადრეულ საფეხურებზე ექსტრემალურ სიტუაციებში წარმოქმნილ-დიფერენცირებული და ადამიანის, როგორც ცოცხალი არსების, გენეტიკაში მყარად ფიქსირებული განწყობის აქტივაცია. ქცევაში (მოძრაობით, ემოციურ და კოგნიტურ რეაქციებში) ამ განწყობის რეალიზაციის პროცესი, რომლის ეტალოური ალწერა საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში გვაქვს მოცემული [3], სქემატურად ასე წარმოგვიდგება: სტრესულ სიტუაციაში აქტივირებული მზაობა (განწყობა) ჯერ მოძრაობით რეაქციებში, შემდეგ ემოციურ განცდებში და, საბოლოოდ, კოგნიტურ პროცესებში რეალიზდება, რადგან „გადარჩენა“ ჯერ მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, შემდეგ კი გონებრივ მოქმედებას. თავის მხრივ, კოგნიციის შედეგები (რა გამოსავალი მოიძებნა სიტუაციიდან), დისტრესს ან შეამსუბუქებს (მოხსნის) ან გააღრმავებს.

დასასრულს შევნიშნავთ, რომ სტრესის, როგორც ორგანიზმის ნეიროფიზიოლოგიური წინამომზადების და განწყობის ცნებათა შორის საერთო ნიშნების არსებობას, ფიზიოლოგიაშიც მიექცა ყურადღება და აღინიშნა, რომ ბოლოდროინდელი „ნეიროფიზიოლოგიური დაკვირვებები ხელს უწყობს დ. უზნაძის თეორიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების დადგენას“ [6].



## ლიტერატურა

1. გერიგი რ., ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
2. მალრაძე მ., საყვარელიძე რ., ბალიაშვილი მ., კვიციანიძე მ. სტრესი და იძულებით გადაადგილება: ფსიქოლოგიური პრობლემები და მათი დაძლევის გზები. სახელმძღვანელო (რედ. მ. გაბაშვილი), გამომცემელი „ნორვეჯის ლტოლვილთა საბჭო“, თბ., 2011.
3. მალრაძე მ. სტრესი და განწყობა. აღმანახი „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, 2013.
4. უზნაძე დ. შრომები, ტ. VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1977.
5. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. გამ., „აღმაშენებელი“ თბ., 1998.
6. ხანანაშვილი მ. ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2008.
7. Гринберг Дж. Управление стрессом, СПб, 2002.
8. Селье Г. Стресс без дистресса, М., 1979.

## ПРОБЛЕМА ВОЗНИКНОВЕНИЯ ФИЗИОЛОГИЧЕСКИХ КОРРЕЛЯТОВ ДИСТРЕССА НА ПОЧВЕ ПСИХОГЕННОГО СТРЕССОРА

*М. Магдадзе*

Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

В статье поставлен вопрос, как вызывает психологический стрессор физиологическую напряженность-мобилизацию организма. По распространенному мнению, все начинается от когнитивной оценки ситуации, но, даже если допустим, что это так, конкретный механизм воздействия когнитивной оценки на физиологические процессы все же не найден. Кроме того, протекание дистресса в экстремальных условиях показывает, что стресс начинается не от когнитивной оценки, а от мгновенными поведенческими и эмоциональными реакциями. Для когнитивной активности субъект освобождается позже. Путем специального анализа мы пришли к выводу, что в стрессовой ситуации происходит активация фиксированной готовности для активности в таких ситуациях. В грузинской психологии готовность активности называется установкой. По нашему мнению, стресс – это особый вид установки, и связь между физиологическими и психологическими коррелятами дистресса опосредствована стрессовой установкой.

## PROBLEM OF INITIATION OF PHYSIOLOGICAL CORRELATES OF DISTRESS ON THE BASIS OF PSYCHOGENIC STRESSORS

*M. Maghradze*

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### SUMMARY

In the article the issue is discussed how the psychological stressor causes physiological tense-mobilization. According to the common view, everything starts with the cognitive assessment of situation. But even if this is correct, specific mechanisms of initiating physiological processes by the cognitive assessment are still to be found. Along with this, the course of distress in extreme situations clearly show that stress starts not with the cognitive assessment, but with the rapid behavioral and emotional reactions. A person just lately finds the time for cognitive activity. Based on the special analysis we conclude that in stress situations general genetically fixed readiness for reaction to such situations is activated. In Georgian psychology the readiness for activity is called "the setting". In our opinion a stress situation is the specific kind of setting and the connections and interrelations between physiological and psychological correlates of distress are intermediated by stress setting.

## EMOTIONAL STATE AND SEIZURE ACTIVITY

*Z.I. Nanobashvili, I.G. Bilanishvili, M.D. Barbakadze, I.G. Khachidze,  
N.A. Khizanishvili*

Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

In our study, we tried, first – to elucidate whether the induction of emotional behavior resulting from the stimulation of the dorsomedial hypothalamus (DMH) influences the development of seizure activity in the course of epileptogenesis within the framework of fast kindling (stimulation of the hippocampus) and, second – to estimate if such stimulation is capable of modulating manifestations of generalized seizures under conditions of the pre-formed “full” epileptic syndrome. The stimulation of DMH in the above two experimental situations resulted in significant suppression of both electrographic and behavioral manifestations of seizure activity. We hypothesize that the respective emotional reactions can be interpreted as the phenomena of instinctive behavior having an adaptive defensive significance. These reactions are related to inhibitory processes providing protection from the development of seizure activity.

**Key words:** emotional behavior, seizure activity, hypothalamus, rats

Emotional disorders, such as the manifestations of anxiety and fear, depression, and aggression are frequently observed in the patients suffering from temporal epilepsy. These psychiatric symptoms can arrive in the course of development of seizures or after such episodes, i.e. in a postictal mode. In some patients, however, emotional disorders are observed within intervals between seizure attacks, i.e. interictally [8]. The mechanisms responsible for susceptibility to mental disorders in subjects suffering from epilepsy remain to be mostly obscure.

Kindling is extensively used as an animal experimental model in attempts to interpret the phenomenon of interictal emotionality and effects of epileptiform activity on emotional behavior in humans. These aspects frequently fit the main goal of the respective studies, but the reverse statement is incorrect. It is interesting that interictal emotional disorders related to temporal epilepsy *per se* can be significantly modified under the action of anticonvulsants. Some agents that are effective as anticonvulsants, however, evoke noticeable side effects that can mask the interictal emotionality. Moreover, some of these drugs can even intensify the interictal emotional phenomena [1, 9].

At the same time, the corresponding emotional disorders can be interpreted as the appearance of interictal behavior possessing certain adaptive significance. They can be

considered to be a "side product" of the inhibitory processes providing protection from the initiation of seizures in the future.

There were two main goals in our study. First, we tried to elucidate: can emotional behavior evoked by stimulation of the emotiogenic zones of the hypothalamus influence the development of seizures in the course of epileptogenesis? Second, we wanted to estimate: can such a stimulation modify manifestations of generalized seizures within the period where a "full" epileptic syndrome has been stably formed earlier?

## MATERIAL AND METHODS

Wistar albino rats weighing 250-300 g were kept under conditions of a 12/12 h illumination cycle with free access to food and water. Housing of the animals, surgical manipulations and euthanasia of them were carried out in accordance with the rules and standards accepted by the scientific community of the European Union, legislation of Georgia, and the Committee on the care and use of animals in the Center of Life Sciences of Georgia. Instructions of the administration of the National Institutes of Health (Bethesda, USA) on the care and use of laboratory animals (NIH Publication No. 88-2959) were also taken into account. The animals ( $n = 24$ ) were anesthetized by sodium pentobarbital (40-50 mg/kg, i.p.). Bipolar stimulating/recording electrodes (stainless steel) were stereotaxically [7] implanted in the ventral hippocampus and dorsomedial hypothalamus (DMH). Bipolar stimulating/recording electrodes (stainless steel) were stereotaxically implanted in the ventral hippocampus and dorsomedial hypothalamus (DMH). A monopolar recording macroelectrode was placed on the surface of the motor cortex; the reference electrode was fixed between the skull and head muscles. The above-mentioned structures were stimulated at least 10 to 12 days after the surgical intervention. The hippocampus was stimulated using a fast kindling protocol (10-sec-long series of rectangular 400-450  $\mu\text{A}$  1.0 msec-long current pulses, intraseries frequency 10 sec). The DMH was stimulated by 0.5-msec long current pulses with a 50 sec frequency. Such a stimulation evoked behavioral manifestations of fear/anxiety. For the estimation of hippocampus excitability and the stability of manifestations of the epileptic syndrome, five test stimuli with 5-min long intervals were applied to the hippocampus at different time intervals (2 and 4 weeks) after the induction of fast kindling.

The differences between the parameters of kindling-induced behavior were estimated using non-paired *t*-test or factorial dispersion analysis (ANOVA) with a post-hoc Bonferroni-Dunn test. The development of kindling manifestations was estimated using ANOVA for repeated measurements. The intergroup differences were considered to be significant at  $p < 0.05$ .

## RESULTS

In experiments aimed at studying the effects of DMH stimulation on the process of epileptogenesis, the animals were subjected to 40 episodes of isolated stimulation of the ventral hippocampus in the fast kindling paradigm or combined stimulations of the hippocampus and DMH; then the effects of isolated stimulation of the hippocampus were

tested. When rats were subjected to test stimulation of the hippocampus 2 and 4 weeks after the beginning of the kindling protocol, several seizure manifestations corresponding to the 4th or 5th level of the scale were observed. The mean intensity of behavioral seizure activity was obviously higher, as compared to that at the initial five stimulations of the kindling procedure. The mean duration of ADs in the electrohippocampogram (EHG) composition initiated by test stimulation of the hippocampus was also significantly higher on the 2nd and 4th weeks, as compared to the respective index upon five initial stimulations. The intensity of electrographic seizure activity (number and duration of the respective potentials in the EHG composition) upon test hippocampal stimulation was significantly smaller within all time intervals in case of simultaneous stimulations of the DMH and hippocampus than that under conditions of isolated kindling hippocampal stimulation.

The mean intensity of behavioral seizures (in points) upon test stimulations of the hippocampus 2 and 4 weeks after the beginning of the kindling procedure was also several times smaller than in case of isolated kindling stimulation of the hippocampus. Thus, parallel stimulation of the DMH resulting in the development of the state of fear/anxiety and initiating an avoidance reaction can significantly suppress the epileptogenesis process despite the presence of an accompanying  $\theta$  rhythm in the hippocampus.

In the subsequent experiments we have tried to estimate if combined stimulation of the hippocampus and DMH can weaken the seizure phenomena in animals with stably preformed manifestations of limbic epilepsy. First, the animals were subjected to isolated 40 hippocampal stimulations in the paradigm of fast kindling, and only then was their state tested by stimulations of the hippocampus applied simultaneously with those of DMH or without the latter. When such animals were tested by hippocampal stimulation 2 and 4 weeks after kindling initiation, they frequently responded with the development of several seizure attacks of the 4th and 5th grade. The mean duration of ADs evoked by hippocampal test stimulation was significantly greater than in the course of five initial stimulations (Fig. 1).




Fig. 1. Effects of combined stimulation of DMH (2) on the duration of EHG seizure discharges after the termination of the kindling procedure. 1) Effects of isolated test stimulation of the hippocampus. Asterisks shown cases of significant differences at intergroup comparisons shown by brackets above the columns

In rats subjected to additional DMH stimulation, the intensity of behavioral seizures, as well as the duration and number of hippocampal ADs, were significantly smaller, as compared with the respective indices in the group subjected to isolated hippocampal stimulation. Such a relation was observed within all time intervals (Fig. 2).




Fig. 2. Effects of combined stimulation of DMH on the intensity of behavioral seizures, points, after the termination of the kindling procedure. Designations are the same as in Fig. 1

## DISCUSSION

Our experiments for the first time gave direct proofs of the statements that the activation of the DMH resulting in the initiation of emotional behavior (anxiety/fear) interferes with the development of seizure activity initiated by the kindling procedure (hippocampal stimulation). The stimulation of the DMH not only inhibited the development of generalized seizures in the process of epileptogenesis, but also significantly decreased the number and duration of generalized convulsions in rats with preliminarily evoked epileptic manifestations. The limitation of the "limbic" seizures generalization resulting from the stimulation of the hypothalamus and/or development of behavior with anxiety/fear manifestations correlates with modulation of field electrical activity of the hippocampus. As is well known, the hippocampus generates rhythmic slow field activity, namely the  $\theta$  rhythm after the stimulation of various receptor formations and direct stimulation of a few cerebral structures.

Some authors mentioned that the activation of the septo-hippocampal pathways resulting from sensory stimulation or the stimulation of the hypothalamus and a few brainstem structures is accompanied by a decrease in the frequency of spiking of hippocampal pyramidal neurons [2]. On the other hand, it was shown that the frequency of discharges of hippocampal interneurons increased in this case. Besides this, the most regular  $\theta$  waves were observed in the course of paradoxical sleep, when background activity of pyramidal cells was mostly intensely weakened. The basket cells represent the most numerous morphological type of hippocampal interneurons; from the functional

state, they are believed to be inhibitory units [4]. Precisely hippocampal interneurons are generally qualified as  $\theta$  cells. Therefore, reciprocal relations between the intensities of seizures and of  $\theta$  activity, on the one hand, and manifestations of seizures and the fear/anxiety state, on the other hand, can be interpreted as a sort of regulatory effects provided by inhibitory mechanisms under conditions of generation of the  $\theta$  rhythm. Our findings allow us to suppose that the augmentation of inhibitory processes in hippocampal neurons in the course of DMH stimulation can trigger the mechanisms preventing the development of epileptiform activity. The generation of the hippocampal  $\theta$  rhythm is in fact a physiological state preventing the involvement of cerebral mechanisms in generalized seizure activity. The following possible mechanism could be considered as another one. The development of the anxiety/fear state evoked by stimulation of the DMH can result in activation of the *locus coeruleus* (LC), and this event is capable of preventing generalization of seizure activity induced by hippocampal kindling. It is well known that the noradrenergic system of the LC is significantly involved in the regulation of behavior looking like fear/anxiety [2]. Moreover, as was convincingly demonstrated, efferent influences from the LC can effectively modulate an inclination to seizure initiation. The experiments with impairments or destructions of the LC substantiated the hypotheses on the anticonvulsant role of the LC noradrenergic system. The impairment of LC neurons transforms a state with sporadic seizures into a self-maintained epileptic status [5]. In turn, neurons of the LC can also activate the thalamic reticular nucleus (TRN) in the course of development of fear/rage behavior evoked by DMH stimulation. The TRN is richly innervated by noradrenergic fibers coming from the LC. The extracellular application of noradrenaline to TRN neurons or electrical stimulation of the LC results in an intense excitation of neurons in the above thalamic nucleus. In this respect, the following fact is rather interesting. The direct stimulation of the TRN can also suppress the development of generalized motor limbic seizures, both in the course of epileptogenesis and under conditions of the pre-formed epileptic state [6]. Therefore, our study demonstrated that the induction of emotional behavior resulting from DMH stimulation can significantly suppress the generalization of motor limbic seizures within the dynamic phase (epileptogenesis) and decrease the manifestations of seizure activity related to pre-formed limbic epilepsy.

We suppose that the corresponding emotional manifestations can be qualified as a correlation of instinctive behavior possessing adaptive defensive (protective) significance. Such manifestations look like "side" products of inhibitory processes whose initiation is directed toward protection from the development of the seizure activity.

## ACKNOWLEDGEMENT

This research was supported by a grant (FR/99/7 – 270/12) from the Georgian Sh. Rustaveli National Science Foundation

## REFERENCES

1. Adamec R., McKay D. *Physiol. Behav.*, 1993, 54 (2), 423-431.
2. Euler V.C., Green G.D. *Acta Physiol. Scand.*, 1960, 48 (1), 110-125.

3. Fisher R., Kerrigan J. Vigabatrin. Toxicity, in: Antiepileptic Drugs, R. Lery, R. Mattson, and B. Meldrum (eds.), Raven Press, New York. 1995, 931-940.
4. Freund T.F., Buzsaki G. Hippocampus, 1996, 6, 347-470.
5. Giorgi F.S., Ferrucci M., Lazzeri G. Eur. J. Neurosci., 2003, 17 (4), 2593-2061.
6. Nanobashvili Z., Chachua T., Nanobashvili A., Bilanishvili I., Lindvall O., Kokaia Z. Exp. Neurol., 2003, 181(1), 224-230.
7. Paxinos G., Watson C. The Rat Brain in Stereotaxic Coordinates. Academic Press, New York, 1997.
8. Swanson S.J., Rao S.M. Grafman J. Brain, 1995, 118 (1), 91-103.
9. Waxman S., Geschwind N. Arch. Gen. Psychiat., 1975, 32 (4), 1580-1586.

## ეპილეზიის ეტიოლოგია და კრუნჩხვითი აქტიურობა

**ზ.ი. ნანობაშვილი, ი.გ. ბილანიშვილი, მ.დ. ბარბაქაძე, ი.გ. ხაჩიძე,  
ნ.ა. ხიზანიშვილი**

ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი, საქართველო

### რეზიუმე

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: 1. ჰიპოთალამუსის ემოციოგენური უბნების გალიზიანების გავლენის შესწავლა კრუნჩხვითი რეაქციების განვითარებაზე და 2. ამავე უბნების გალიზიანების გავლენის შესწავლა კრუნჩხვითი რეაქციების მიმდინარეობაზე უკვე ჩამოყალიბებული ეპილეპტოგენური კერის არსებობისას. ჰიპოთალამუსის გალიზიანება ორივე შემთხვევაში განაპირობებდა როგორც ელექტროგრაფიული, ისე ქცევითი კრუნჩხვითი რეაქციების გამოვლინების დათრგუნვას. საყარაუდოა, რომ ინტერიქტალური ემოციური რეაქციების დროს უნდა ხდებოდეს იმ ენდოგენური შემაკავებელი მექანიზმების ამოქმედება, რომელიც დამაკინებლად მოქმედებს კრუნჩხვით რეაქციებზე.

## ЭМОЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ И СУДОРОЖНАЯ АКТИВНОСТЬ

**З.И. Нанобашвили, И.Г. Биланишвили, М.Д. Барбакадзе, И.Г. Хачидзе,  
Н.А. Хизанишвили**

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

Основная цель нашего исследования была двоякой: во-первых – выяснить, может ли эмоциональное поведение, вызванное стимуляцией эмоциогенных зон дорсомедиального



гипоталамуса, воздействовать на развитие судорог во время эпилептогенеза; во-вторых установить, может ли подобная стимуляция изменить проявление генерализованных судорог, когда полный эпилептический синдром был стабильно сформирован заранее. Стимуляция гипоталамуса в обеих экспериментальных ситуациях приводила к существенному подавлению и электрографических и поведенческих проявлений судорожной активности. Мы предполагаем, что соответствующие эмоциональные реакции могут рассматриваться как проявления инстинктивного поведения, имеющего адаптивное защитное значение, и они связаны с тормозными процессами, обеспечивающими защиту от возникновения судорожной активности.

# ჰისტამინის H3 რეცეპტორების მოქმედების ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა უფოთვითი ქცევის ორგანიზაციაში

*რ. საკანდელიძე, ი. ლომიანიძე, ე. ჯულაყიძე, თ. ლომიანიძე*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ჰისტამინის H3 რეცეპტორების გავლენის შესახებ ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) უმაღლეს ფუნქციებზე, კერძოდ “უფოთვითი ქცევის” რეგულაციებზე, შეხედულებები საკმაოდ ბუნდოვანი და არაერთგვაროვანია.

კვლევის მიზანი იყო ცნს-ში ჰისტამინერგული მექანიზმების მამოლდულირებელი მოქმედების შესწავლა, რომელიც შესაძლებელია ხორციელდებოდეს H3 რეცეპტორების მონაწილეობით.

ექსპერიმენტები ჩატარდა ლაბორატორიულ თეთრ მამრ ვირთაგვებზე. უფოთვის მდგომარეობის ტესტირება, ჰისტამინური H3 რეცეპტორების აგონისტი ნივთიერების – მეთილჰისტამინის და ანტაგონისტი – ბეტასერკის, მიღებამდე და მიღების შემდეგ, განხორციელდა ქცევითი ტესტებით: 1) ე.წ. “წყლის დასჯადი სმა” და 2) “ამაღლებული ჯვარედინი ლაბირინთით”. მონაცემების სტატისტიკური დამუშავება მოხდა სტიუდენტის t კრიტერიუმით.

ჰისტამინური H3 რეცეპტორების შერჩევითი აგონისტის – მეთილჰისტამინის გამოყენებამ და ამით ცნს-ში ჰისტამინერგული გადაცემის გაძლიერებამ, არ მოგვცა უფოთვითი ქცევის მომატება, პირიქით, უფოთვითი ქცევა საკონტროლოსთან შედარებით შემცირდა. ასევე ანტაგონისტი – ბეტასერკის გამოყენებამ, შედეგი იგივე მოგვცა, უფოთვითი ქცევა საკონტროლოსთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.

ამრიგად, ჰისტამინური H3 რეცეპტორების როგორც აგონისტი, ისე ანტაგონისტი ნივთიერებების გავლენა ორივე შემთხვევაში უფოთვითი ქცევის მიმართ სინერგისტული მოქმედებისაა და გამოიხატება მის შემცირებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ჰისტამინი, რეცეპტორი, ქცევა, უფოთვა, აგონისტი, ანტაგონისტი

ჰისტამინის ფიზიოლოგიური როლი დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის წარმოადგენს ქიმიურ ფაქტორს სასიცოცხლო ფუნქციის რეგულაციისთვის. ჩვეულებრივ პირობებში ჰისტამინი იმყოფება არააქტიურ მდგომარეობაში. იგი მოიპოვება თითქმის

ყველა ქსოვილში და ხასიათდება ფარმაკოლოგიური აქტიურობით მნიშვნელოვანი მედიატორი. იგი ქსოვილების დაზიანებისას წარმოქმნილი შხამების ან ტოქსიკური ნივთიერებების მოქმედების გამო დიდი როლდენობით გამოიყოფა, დაზიანებულ ადგილზე კი ვითარდება დამახასიათებელი რეაქცია, ხოლო ჭარბი ჰისტამინი ნორმამდე მცირდება ფერმენტ დიამინოქსიდაზით.

დღემდე არსებული ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, ჰისტამინი ახორციელებს დამცველობით ფუნქციას და იმუნურ სისტემასთან ერთად ახდენს ორგანიზმის უცხო ნივთიერებებისგან გაუფენებლყოფას, არეგულირებს კუჭის წვენის სეკრეციას, ძილ-ღვიძილის ციკლს, აკონტროლებს ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) მოქმედებას. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა გზებით მონაწილეობს ჰისტამინი ფსიქიკურ პროცესებში.

ჰისტამინის მაღალი კონცენტრაციით არსებობა დადასტურებულია ჰიპოთალამუსში და თავ-ზურგტვინის სითხეში, ხოლო მცირე კონცენტრაციით – შუა ტვინში, თალამუსში, ბაზალურ განგლიებსა და ნეოკორტექსში. საკუთრივ ჰისტამინური ნერვული გზები გამოვლენილი არ არის [2, 4]. აღმოჩენილია ჰიპოთალამუსის, გამჭვირვალე ძგიდის და კუდიანი ბირთვის ნათესაობა ჰისტამინთან, ვიდრე ტვინის სხვა სტრუქტურებთან.

ამ ფაქტის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა ძნელი ასახსნელია, საჭიროა მომავალში მისი სპეციალური შესწავლა. ჰისტამინი, რომელიც თავისუფლდება სინაფსში, იხლინება აცეტალდეჰიდ დეჰიდროგენაზას საშუალებით და იშლება ფერმენტ ჰისტამინ-N-მეთილტრანსფერაზას და დიამინოქსიდაზას მეშვეობით [1].

გამოკვლევები აჩვენებს, რომ ჰისტამინის ცენტრალური და პერიფერიული მოქმედება იწვევს ორგანიზმის ურთიერთსაწინააღმდეგო რეაქციას.

ბოლო პერიოდის მონაცემებით ცნობილია ჰისტამინის ოთხი სახის მეტაბოტროპული ტიპის რეცეპტორები: H1, H2, H3, და H4 როგორც თავის ტვინში, ისე პერიფერიაზე და ისინი უპირატესად ამაგზნებელი ფუნქციის რეალიზაციაში არიან ჩართული. ვარაუდობენ, რომ ჰისტამინური რეცეპტორები ააქტივებს ადენილატციკლასას. ჰიპოთალამუსში იგი ამაგზნებელი ნეირომოდულატორის როლს ასრულებს, ხოლო ნეოკორტექსში შემაკავებელის როლს [2].

უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევენ ჰისტამინის H3 რეცეპტორების მასტიმულირებელ როლს ცნს-ის მოქმედების მექანიზმებში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მისი რეცეპტორები იმყოფება პრესინაფსურ მემბრანებზე. ნეირონები, რომლებიც ათავისუფლებენ ჰისტამინს, მდებარეობს უკანა ჰიპოთალამუსში, სხვადასხვა ტუბერომამილარულ ბირთვებში. აქ ჰისტამინერგული ნეირონები პროეცირდება მთელს თავის ტვინში, წინა ტვინის ქერქის მედიალურ კავშირებში.

როცა თავის ტვინში ჰისტამინის დონე გამოდის კონტროლიდან, ვითარდება სხვა სიმპტომი: ჰიპერაქტიური ტენდენცია, ადამიანს გაანნია შიშები, აკვიატებული რიტუალები, ტირილი, არიან ზედმეტად იმპულსური,

აქეთ თვითმკვლევლობაზე ფიქრი. თუ თავის ტვინი მცირე რაოდენობით დებულობს ჰისტამინს, მაშინ ვითარდება პარანოია, ყურებში შიშინი, ირღვევა მხედველობა და სმენადობაც. ასეთი ბავშვები ცუდად სწავლობენ, ნაკლებად ემორჩილებიან მასწავლებელს და ოჯახის წევრებს.

თავის ტვინში ჰისტამინის არათანაბარი წარმოქმნისა და განაწილების შესახებ შედეგები აღმოჩენილი იყო 1966 წელს ნიუ-ჯერსის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, სადაც Dr. Carl Pfeiffer და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს მეთოდი ქსოვილებში ჰისტამინის შემცველობის ზუსტი ანალიზისთვის. ამასთან ერთად აღმოაჩინეს, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სისხლი შეიცავს ჰისტამინის დაბალ დონეს [5].

ლიტერატურის მონაცემები ეჭვგარეშე მიუთითებს ჰისტამინის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიოგენური ამინის გავლენის შესახებ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, პირობით რეფლექსურ მოქმედებასა და ქცევაზე. ამ მხრივ ნაკლებად არის შესწავლილი მისი გავლენა ისეთ ემოციურ მდგომარეობაზე, როგორცაა შფოთვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ჰისტამინური და ანტიჰისტამინური ფარმაკოლოგიური ნივთიერებების გავლენით H3 რეცეპტორების მონაწილეობის შესწავლა შფოთვის თანამედროვე ცხოველურ მოდელზე. ამ მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. პასიური განრიდების ტესტში (წყლის დასჯადი სმა) ჰისტამინური H3 რეცეპტორების აგონისტი და ანტაგონისტი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების გავლენის შესწავლა შფოთვის მდგომარეობის რეგულაციაში.
2. ამადლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე ჰისტამინური H3 რეცეპტორების აგონისტი და ანტაგონისტი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების გავლენის შესწავლა შფოთვის მდგომარეობის რეგულაციაში.

## მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარებულია ლაბორატორიულ თეთრ ზრდასრულ მამრ ვირთაგვებზე, რომელთა სხეულის მასა 200 გრ-ზე ნაკლები არ იყო. ცდების დაწყებამდე და ცდებს შორის ინტერვალებში ცხოველები იმყოფებოდნენ სპეციალურ პლასტმასის გალიებში, 4-5 ცხოველი ერთად. ეძლეოდათ მშრალი, გრანულირებული, სრულფასოვანი საკვები. წყალი შეუზღუდავად ჰქონდათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ექსპერიმენტი მოითხოვდა ცხოველების დაწყურებას (წყლის დასჯადი სმის ტესტი). გარემო ტემპერატურა შენარჩუნებული იყო 18-20°C-ის ფარგლებში, ხოლო განათება მერყეობდა დღის ბუნებრივი ხანგრძლივობის მიხედვით.

შფოთვის მდგომარეობის ტესტირებისთვის გამოიყენებოდა დღეისთვის ფართოდ აღიარებული ქცევითი ტესტები: პირველი - ე.წ. "წყლის დასჯადი სმა", რომელიც პასიური განრიდების პირობითი რეფლექსის ნაირსახეობაა, რომლის მოდიფიკაცია საესებით ადეკვატურია, ემოციური (შფოთვის) მდგომარეობის შესამოწმებლად [7]. მეორე ტესტი - "ამადლებული ჯვარედინი ლაბირინთი", რომელიც ღია ველის სპეციფიკურ

მოდულიზაციას წარმოადგენს და შფოთვის მდგომარეობის შესამოწმებელ საუკეთესო ტესტად ითვლება [3, 6].

გამოყენებული ფარმაკოლოგიური ნივთიერებებისა და ექსპერიმენტის გეგმის მიხედვით ცხოველები დაყოფილი იყო ჯგუფებად:

I სერია – გამოწვეული, ანუ გარემოებითი შფოთვის მოდელი “წყლის დასჯადი სმა”:

I ჯგუფი: მეთილჰისტამინი- ჰისტამინის H3 რეცეპტორის აგონისტი,

II ჯგუფი: ბეტასერკი – ჰისტამინის H3 რეცეპტორის ანტაგონისტი,

III ჯგუფი: პოლიგლუკინი- ჰისტამინერგული პრეპარატი (ჰისტამინოზი),

IV ჯგუფი: მეთიონინი – ჰისტამინერგული პრეპარატი (ჰისტაპენია),

V ჯგუფი: ფიზიოლოგიური ხსნარი – საკონტროლო.

მე-2 სერია – თანდაყოლილი, ანუ უპირობო შფოთვის მოდელი „ამაღლებული ჯვარედინი ლაბირინთი“:

VI ჯგუფი: მეთილჰისტამინი- ჰისტამინის H3 რეცეპტორის აგონისტი,

VII ჯგუფი: ბეტასერკი – ჰისტამინის H3 რეცეპტორის ანტაგონისტი,

VIII ჯგუფი: პოლიგლუკინი- ჰისტამინერგული პრეპარატი (ჰისტამინოზი),

IX ჯგუფი: მეთიონინი – ჰისტამინერგული პრეპარატი (ჰისტაპენია),

X ჯგუფი: ფიზიოლოგიური ხსნარი – საკონტროლო.

ვირთაგვების სხეულის წონის მიხედვით დადგინდა გამოსაყენებელი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების დოზები.

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება მოხდა სტიუდენტის t-კრიტერიუმით [8].

## შედეგები და მათი განხილვა

ცდების 1 სერია ჩატარებულ იქნა 20 ზრდასრულ ვირთაგვაზე, რომლებიც დაყოფილი იყო 5 ჯგუფად. I ჯგუფის ცხოველებში, წყლის დასჯადი სმის ტესტში, შემოწმებული იყო H3 რეცეპტორების ჰისტამინური მოქმედების პრეპარატი – მეთილჰისტამინი, II ჯგუფის ცხოველებში – H3 რეცეპტორების ანტიჰისტამინური მოქმედების პრეპარატი – ბეტასერკი, III ჯგუფის ცხოველებში, ჰისტამინოზის განვითარების მიზნით – პოლიგლუკინი, IV ჯგუფის ცხოველებში, ჰისტაპენიის განვითარების მიზნით – მეთიონინი და V ჯგუფის ცხოველები – საკონტროლო.

მიღებული მონაცემების მიხედვით, I და II საექსპერიმენტო ჯგუფის ცხოველთა მიმართ ჩვენ მიერ გამოყენებულმა ჰისტამინურმა პრეპარატებმა, აღწვედნენ რა ისინი ჰემატოენციფაღურ ბარიერს და ცნს-ში ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდებიან, შფოთვის ემოციური მდგომარეობა საკონტროლო ჯგუფის ცხოველების მონაცემებთან შედარებით, ერთნაირად შეამცირეს. III ჯგუფის ცხოველებში ჰისტამინოზის განვითარების მიზნით – პოლიგლუკინის მოქმედებამ შფოთვის ემოციური მდგომარეობა, საკონტროლო ჯგუფის ცხოველების მონაცემებთან შედარებით, გააძლიერა. ამასთან, ცხოველები ზედმეტად აგრესიულები იყვნენ და ნაკლებად ემორჩილებოდნენ ექსპერიმენტატორს. რაც

შეეხება ცხოველთა IV ჯგუფს, მეთიონინის ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ შფოთვის ემოციური მდგომარეობა საკონტროლო ჯგუფის ცხოველების მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა და ცხოველები იყვნენ ნაკლებ აგრესიულნი.

მსგავსი ცვლილებები გამოვლინდა ექსპერიმენტის მე-2 სერიის „თანდაყოლილი ანუ უპირობო შფოთვის“ ცხოველური მოდელის (ამაღლებული ჯვარედინი ლაბირინთი) ყველა ჯგუფის მიმართ.

აღწერილი ცდების შედეგები მიუთითებს, რომ ვირთაგვების ჰისტამინერგული მექანიზმები ჩართულია ცხოველის შფოთვის ემოციური ქცევის რეგულაციაში.

მნიშვნელოვანია მეთილჰისტამინის მოქმედება, რომელიც წარმოადგენს ჰისტამინის H3 რეცეპტორების აგონისტს, ჰიპოთალამუსში იგი ასტიმულირებს ნეიროტრანსმიტერების – სეროტონინის, დოფამინის და ნორეპინეფრინის გამოთავისუფლებას. აქედან მნიშვნელოვანია სეროტონინერგული სისტემის როლი ქცევის ორგანიზაციაში [2]. სავარაუდოა, რომ სეროტონინის ერთ-ერთი რეცეპტორი 5-HT<sub>2</sub>, რომელიც ძირითადად ფუნქციობს CNS-ში და მისი არსებობა დადასტურებულია ნეოკორტექსში, ხასიათდება შემაკავებელი ფუნქციებით და, შესაბამისად, იგი ამცირებს ქცევით პატერნებს, მათ შორის შფოთვით ქცევას. ან კიდევ, ჭარბი ჰისტამინი, რომელიც აგონისტის მოქმედებით გამოთავისუფლდება, უკავშირდება პრესინაფსურად მოთავსებულ H3 რეცეპტორს, იწვევს მათ ინჰიბირებას და ნეირომედიატორების გამოყოფის შეკავებას, რაც საბოლოოდ ამცირებს შფოთვით ქცევას.

ბეტაჰისტინი (ბეტასერკი), რომელიც წარმოადგენს H3 ჰისტამინური რეცეპტორების ანტაგონისტს, უკავშირდება აღნიშნულ რეცეპტორებს, მისგან გამოაძევებს ჰისტამინს, ამით ხელს უწყობს სინაფსებიდან ნეირომედიატორების ბალანსირებულ გამოყოფას, მათი გადაცემის ნორმალისებას და შფოთვითი ქცევის შემცირებას.

ამრიგად, ჰისტამინური H3 რეცეპტორების აგონისტი და ანტიჰისტამინური ფარმაკოლოგიური ნივთიერებების მოქმედება სინერგისტული ხასიათისაა და ორივე შემთხვევაში ვლინდება შფოთვის ემოციური ქცევის შემცირება.

ჰისტამინის H3 რეცეპტორების აგონისტი-მეთილჰისტამინის და ანტაგონისტი-ბეტასერკის სინერგისტულ მოქმედებას განაპირობებს აგრეთვე ამ რეცეპტორების პრესინაფსური მდებარეობა.

## ლიტერატურა

1. ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით. თომას მ. დეველინის რედაქციით, მეექვსე გამოცემა, 2008, თბილისი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 782.
2. ნანეიშვილი თ. ქცევის ფსიქოფიზიოლოგია. მეორე გამოცემა, 2003, თბილისი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გვ. 1-387.
3. შალამბერიძე ა., საკანდელიძე რ., ქორელი ა. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიულ. სერია A, 2003, ტ. 29, 755-760.

4. Физиология гисто-гематических барьеров. Руководство по физиологии. АМН СССР, „Наука”. М., 1977.
5. American Psychiatric Association: Diagnostic and statistical manual of mental disorders. TR, Washington, DC, 2000.
6. Cruz A.P., Frei F., Graeff F.G. Pharmacol. Biochem. Behav., 1994, 49, 171-176.
7. Shalamberidze A., Sakandelidze R. Bull. Georgia Acad. Sci., 2002, 5, 544-546.
8. Townend J. Practical Statistics for Environmental and Biological Scientists. Chichester, England: John Wiley Sons. 2003.

## ИЗУЧЕНИЕ БИОХИМИЧЕСКИХ И ФИЗИОЛОГИЧЕСКИХ МЕХАНИЗМОВ ДЕЙСТВИЯ РЕЦЕПТОРОВ ГИСТАМИНА-3 В ОРГАНИЗАЦИИ “ТРЕВОЖНОГО ПОВЕДЕНИЯ”

*Р. Саканделидзе, И. Ломсианидзе, Е. Джулакидзе, Е. Ломсианидзе*

Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

### РЕЗЮМЕ

Мнения о влиянии рецепторов гистамина-3 на высшие функции центральной нервной системы, в частности на регуляцию “тревожного поведения” весьма смутны и неоднозначны.

Целью исследования являлось изучение модулирующего действия гистаминэргических механизмов в ЦНС, осуществление которого возможно с участием H3 рецепторов.

Эксперименты проводились на лабораторных крысах-самцах. Тестирование тревожного состояния осуществилось до приема агониста H3 рецепторов – метилгистамина и антагониста – бетасерка, а также после их приема. Применялись поведенческие тесты: 1) т.н. “наказуемое питье воды” и 2) “возвышенный крестообразный лабиринт”. Статистическая обработка осуществлялась по критерию t-Стьюдента.

Использование выборочного агониста гистаминовых H3 рецепторов – метилгистамина и вызванное этим усиление гистаминэргической передачи в ЦНС не дало повышения тревожного поведения, наоборот, по сравнению с контролем, тревожное поведение сравнительно понизилось. Также, использование антагониста – бетасерка дало такой же результат. По сравнению с контролем, значительно понизилось тревожное поведение.

Таким образом, влияние агониста H3 рецепторов так же, как и антагонистов в отношении тревожного поведения оказывает синергетическое действие и выражается в его понижении.

## THE STUDY OF PHYSIOLOGICAL AND BIOCHEMICAL MECHANISMS OF HISTAMINE-3 RECEPTORS ACTION IN THE REGULATION OF ANXIOUS BEHAVIOR

*R. Sakandelidze, I. Lomsianidze, E. Julakidze, E. Lomsianidze*

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### SUMMARY

The opinions on the effect of histamine receptor-3 in the higher functions of the central nervous system, in particular in the regulation of anxiety behavior are very vague and controversial.

The goal of this study was to investigate a modulating action of histaminergic mechanisms in the CNS, the implementation of which is possible with the participation of the H3 receptors.

The experiments were carried out in laboratory male rats. The testing of anxious state was conducted before and after taking Methylhistamine – an agonist of H3 receptors and an antagonist – Betaserc. The following behavioral tests have been used: 1) the so-called “punishable water drinking” and 2) the “elevated plus maze”. The statistical processing was done according to Student t-criterion.

The use of selected agonist of histamine H3 receptors – Methylhistamine and induced by it an amplification of histaminergic transmission in the CNS did not increase an anxious behavior, on the contrary, as compared to the control, an anxious behavior was relatively decreased. Also, the use of antagonist – Betaserc had the same result. As compared to the control, an anxious behavior was significantly decreased.

Thus, the effect of H3 receptors agonist, as well as the effect of antagonists regarding an anxious behavior had a synergistic action and is expressed in its decrease.



## ძვლის ტვინის უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის ინჰიბირება მსტრაუჯრედული უბიკვიტინით

რ. სუჯაშვილი<sup>1</sup>, ი. იორამაშვილი<sup>1</sup>, ნ. დვინაძე<sup>2</sup>, ქ. აფციაური<sup>2</sup>

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი: ბიოფიზიკის დეპარტამენტი<sup>1</sup>, ნეიროტოქსიკოლოგიის დეპარტამენტი<sup>2</sup>

ინტრაპერიტონეალურად ინდუცირებული ექსტრაუჯრედული უბიკვიტინის ძვლის ტვინის უჯრედების პროლიფერაციულ აქტიურობაზე გავლენის შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა ბიოფიზიკური და ციტოლოგიური კვლევის მეთოდები: SDS-PAGE ელექტროფორეზი, დენსიტომეტრია, მიტოზური ინდექსის განსაზღვრა აზურ-ეოზინით შეღებილ ძვლის ტვინის ნაცხში სინათლის მიკროსკოპით Amp-lival, Zeiss. შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა OriginPro, ImageJ და ANOVA პროგრამული პაკეტების გამოყენებით. ცდის ჯგუფში კონტროლთან შედარებით უბიკვიტინის გავლენით შეინიშნება მიტოზური აქტიურობის მნიშვნელოვანი შემცირება (კონტროლი MI  $0.17 \pm 2.0$ ; ცდა MI  $0.09 \pm 0.7$ ;  $p < 0.05$ ). ძვლის ტვინის უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის რეგულაცია ხდება რიგი ცილების უბიკვიტინით მოდიფიკაციის გზით, ანუ უბიკვიტილირებით. დენსიტომეტრულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უბიკვიტინის გავლენით ცდის ჯგუფის ძვლის ტვინის ლიზატში არ გამოვლინდა რიგი ცილებისა, კერძოდ 166 kDa, 29 kDa და 13 kDa, რაც მიუთითებს ამ ცილების გააქტივებულ დეგრადაციაზე, ხოლო 11.5 kDa მასის მქონე ცილა დამატებით იქნა გამოვლენილი. სავარაუდოდ, ამ ცილის ლიგაზას აქსელერაციულმა დეგრადაციამ განაპირობა მისი სტაბილიზაცია. ამრიგად, დადგინდია, რომ *in vivo* ინდუცირებულ ექსტრაუჯრედულ უბიკვიტინს აქვს უნარი გადალახოს ჰემატო-ქსოვილური ბარიერი და ბუნებრივად ჩაერთოს შიდაუჯრედულ პროცესებში. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია სხივური დაზავების ეტიოლოგიაში გასარკვევად და მიზნობრივი თერაპიის ახალი გზების ძიებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უბიკვიტინი, ცილის დეგრადაცია, პროლიფერაციული აქტიურობა

უბიკვიტინ-პროტეასომას სისტემის ფუნქციების დარღვევა სიმსივნური დაავადებების, მათ შორის ჰემატოპოეზის სხივური დაავადების განვითარების მიზეზი ხდება. ცნობილია, რომ *in vitro* ექსტრაუჯრედული უბი-

კვიტინი ერთვება შიდაუჯრედულ პროცესებში და უჯრედული ინჰიბირებას იწვევს, რაც ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტითაც დასტურდება [6, 7]. დღეისთვის დადგენილია ექსტრაუჯრედული უბიკვიტინის ახალი როლი უჯრედული ციკლის რეგულაციაში. ის წარმოადგენს G-ცილასთან შეწყვილებული რეცეპტორის CXCR4-ის აგონისტს, რაც იმას ნიშნავს, რომ CXCR4 ამავე დროს წარმოადგენს ექსტრაუჯრედული უბიკვიტინის რეცეპტორს ლეიკოციტების მემბრანაში [5]. ექსტრაუჯრედული უბიკვიტინი ჩართულია ჰემატოპოეზის რეგულაციაში და უჯრედების ზრდის სუპრესიის და აპოპტოზის მედიატორი ხდება. STAT3-ის (ტრანსკრიპციის აქტივატორის) პროტეასომაში დეგრადაციის ზედმეტად გააქტივების გამო *in vitro* ექსტრაუჯრედულ უბიკვიტინს შეუძლია შეაღწიოს უჯრედში რეცეპტორ-დამოკიდებული ენდოციტოზის გზით და შეაფსოს უბიკვიტინის შიდაუჯრედული პული [1-4].

## მასალა და მეთოდები

შევისწავლეთ ინტრაპერიტონეალურად შეყვანილი უბიკვიტინის გავლენა ძვლის ტვინის უჯრედების პროლიფერაციულ აქტიურობაზე. ექსპერიმენტში გამოყენებული იყო ზრდასრული 100-150 გ მდედრი ვირთაგვების ორი ჯგუფი, რომელთაგან თითოეული შედგებოდა 6 ცხოველისგან. პირველი, საკონტროლო ჯგუფი – ინტაქტური ცხოველები. მეორე, ცდის ჯგუფი – ცხოველებს ინტრაპერიტონეალურად გაუკეთდათ 200 მკგ/მლ უბიკვიტინის ორჯერადი ინექცია, 24-საათიანი ინტერვალით დღის 9 საათზე. მასალა ავიღეთ მეორე ინექციიდან 6 საათის შემდეგ დღის 3 საათზე.

ცხოველებზე ცდები ჩატარდა ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში არსებული ბიოეთიკის საბჭოს მიერ დადგენილი ეთიკური ნორმების შესაბამისად. თითოეული ცხოველის ბარძაყის ძვლიდან ავიღეთ ძვლის ტვინი ელექტროფორეზისთვის ცილოვანი ლიზატის და ციტოლოგიური კვლევისთვის ნაცხის მოსამზადებლად. ნაცხი შევლეთ აზურ-ეოზინით. ძვლის ტვინის უჯრედების მიტოზური აქტიურობის განსაზღვრისთვის თითოეულ ნიმუშში დავითვალეთ 3000 უჯრედი.


მიტოზური ინდექსი განესაზღვრეთ 1000 უჯრედზე მიტოზების რაოდენობის მიხედვით (პრომიდე). მიტოზური ინდექსის განსაზღვრა ხდებოდა აზურ-ეოზინით შეღებილ ძვლის ტვინის ნაცხში სინათლის მიკროსკოპით Amplival, Zeiss.

შედგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა OriginPro, ImageJ და ANOVA პროგრამული პაკეტების გამოყენებით. უჯრედული ლიზატი მომზადდა RIPA ბუფერის გამოყენებით, რომელიც შეიცავს 150 mM NaCl, 50mM Tris-HCl pH7.4, 1mM EDTA, 1% ნატრიუმის დეოქსიხოლატს, 1% Triton-100, 0.1% SDS და პროტეაზების ინჰიბიტორებს. ლიზატის სხვადასხვა ფრაქციების ცილოვანი შემადგენლობა გამოკვლეულია ლემლის SDS-PAGE 15%-იან გელში.

ნიმუშის გამსხნელი ბუფერი: 0.05 M Tris-HCl, 2% SDS, 10% გლიცერინი, 0.1% ბრომფენილის ლურჯი, pH6.8. იდენტიფიკაციის მიზნით ცილების მოლეკულური მასების მისედვით ჩატარდა დენსიტომეტრული ანალიზი. განისაზღვრა მიტოზური ინდექსი. უბიკვიტინი, Ripa ბუფერი და სხვა რეაქტივები შეძენილია Sigma და ABCAM-იდან.

### შედეგები და განხილვა

ინტრაპერიტონეალურად შეყვანილი ექსტრაუჯრედული უბიკვიტინის ძვლის ტვინის უჯრედების პროლიფერაციულ აქტიურობაზე გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ცდის ჯგუფში უბიკვიტინის გავლენით მიტოზური აქტიურობა კონტროლთან შედარებით მნიშვნელოვანად არის შემცირებული (კონტროლი MI  $0.17 \pm 2.0$ ; ცდა MI  $0.09 \pm 0.7$ ;  $p < 0.05$ ) (სურ. 1). უბიკვიტილირება არის ცილის პოსტ-ტრანსლაციური მოდიფიკაცია. ექსტრაუჯრედული უბიკვიტინით პროლიფერაციული აქტიურობის თითქმის 50%-ით ინჰიბირება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს უბიკვიტინით უჯრედული ცილების მეტაბოლიზმის რეგულაციაზე.



სურ. 1. კონტროლი I  $0.17 \pm 2.0$ ; ცდა I  $0.09 \pm 0.7$ ;  $p < 0.05$

ჩვენი ექსპერიმენტით გაირკვა, რომ ცილათა ერთი ჯგუფი არის ინტრაპერიტონეალურად შეყვანილი უბიკვიტინის სამიზნე. ამ ცილების იდენტიფიკაციის მიზნით შევისწავლეთ ძვლის ტვინის უჯრედების ლიზატის ცილოვანი კომპოზიცია ლემლის ელექტროფორეზით. ელექტროფოროგრამის დენსიტომეტრული ანალიზი გაკეთდა კონტროლისა და ცდის ნიმუშებში სხვადასხვა მოლეკულური მასების მქონე ცილების იდენტიფიცირების მიზნით. გელის დენსიტომეტრულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უბიკვიტინის გავლენით ცდის ჯგუფის ძვლის ტვინის ლიზატში არ გამოვლინდა რიგი ცილებისა, კერძოდ 166 kDa, 29 kDa და 13 kDa, რაც მიუთითებს ამ ცილების გააქტივებულ დეგრადაციაზე, ხოლო 11.5 kDa მასის მქონე ცილა დამატებით იქნა გამოვლენილი. სავარაუდოდ, ამ ცილის ლიგაზას აქსელერაციულმა დეგრადაციამ განაპირობა მისი სტაბილიზაცია (ცხრ. 1).

ძვლის ტვინის ლიზატის დენსიტომეტრული ანალიზის შედეგები

№	გაფლილი მანძილი (სმ)	გამოვლენილი ცილების მოლეკულური მასა (kDa)	ინტაქტური ცხოველების ცილები	ცდის ცხოველების ცილები (უბიკვითინის ინექცია 200 მკგ/მლ)
1	0.026	165	+	-
2	0.73	109	+	+
3	0.85	102.3	+	+
4	1.022	91.2	+	+
5	1.168	83.2	+	+
6	1.38	72.4	+	+
7	2.14	45.7	+	+
8	2.72	31.6	+	-
9	3.75	16.5	+	+
10	4.12	13.18	+	-
11	4.35	11.48	-	+
12	5.66	5.75	+	+

დადგენილია, რომ *in vivo* ინდუცირებულ ექსტრაუჯრედულ უბიკვითინს აქვს უნარი გადალახოს ჰემატო-ქსოვილური ბარიერი და ბუნებრივად წაერთოს შიდაუჯრედულ პროცესებში. ცხადია, რომ ძვლის ტვინის პროლიფერაციული აქტიურობის რეგულაცია ხდება რიგი ცილების უბიკვითინით მოდიფიკაციის გზით. ამ ცილების იმუნოლოგიური მეთოდებით იდენტიფიკაცია შემდგომი კვლევის საგანია. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია სხივური დაავადების ეტიოლოგიაში გასარკვევად და მიზნობრივი თერაპიის ახალი გზების ძიებისთვის.

**ლიტერატურა**

1. Carlson N., Rechsteiner M. The J. of Cell Biology, 1987, 104, 537-546.
2. Daino H. et. al. Blood, 2000, 95, N8, 2577-2585.
3. Daino H., Shibayama H., Machii T., Kitani T. Biochem. Biophys., 1996, 223, 226-228.
4. Saini V., Romero J., Marchese A., Majetschak M. Commun. and Integrative Biology, 2010, 3 (6), 608-610.
5. Saini V., Marchese A., Majetschak M. J. Biol. Chemistry, 2010, 285, 15566-76.
6. Sujashvili R., Bakuradze E., Modebadze I., Dekanoidze D. EMBO, Molecular Insights for Innovative Therapies, Conference, Heidelberg, Germany, 2011, December, 1-4.
7. Sujashvili R., Bakuradze E., Modebadze I., Dekanoidze D. Georgian Medical News, Tbilisi-New-York, 2013 October, N10(223), 86-90.

# ИНГИБИРОВАНИЕ ПРОЛИФЕРАТИВНОЙ АКТИВНОСТИ КЛЕТОК КОСТНОГО МОЗГА ВНЕКЛЕТОЧНЫМ УБИКВИТИНОМ

*Р.Ш. Суджашвили<sup>1</sup>, И.В. Иорамашвили<sup>1</sup>, Н.Н. Гвинадзе<sup>2</sup>, К.Н. Аптиаური<sup>2</sup>*

Центр Экспериментальной биомедицины им. Ив. Бериташвили, Тбилиси: департамент биофизики<sup>1</sup>, департамент нейротоксикологии<sup>2</sup>

## РЕЗЮМЕ

